წელიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 18 სექტემბერი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 35

## ჟურნალის შინაარსი

თავის მართლებაც ასეთი უნდა; საქართველო ანრდი-ლების ქვეშ—**ყარიბი;** წყალ-წაღებულნი—**ლეო შენგე-ლაია;** კ. კაუცკი და აბრამოვიჩი ქართული მენშევიზმის შესახებ—**ალ. ხელაძე;** ნიღაბი მოიხსნეს—**კ. ქეიშვილი;** ფაშისტების ახალი იერიშები—**ს. ელიაძე;** სანავთო ომი—**ი. ნარსია;** მიმართვა ქართველ მშრომელ ქალთა მიმართ—ყოფ. ახ. მარქსისტთა განყოფილება. წერილი პროვინ-ციიდან.

# თავის მართლებაც ასეთი უნდა

საქართველოში ჯერაც არ შეწყვეტილა მედგარი და მრისხანე ყიჟინა იმ ახალი ავანტიურის წინააღმდეგ, რომელსაც ქართველ ხალხს უმზადებენ ჟორდანია-რამიშვილი მათი „სადირექტივო წერილებით".

ჩვენში ჯერ კიდევ დიდხანს ეხსომებათ ამ წერილების შინაარსი. მათ უკვე გაეცნო ქართველი ერის ფართე ფენები, დაწყებული სამეცნიერო და სალიტერატურო საზოგადოებებიდან და გათავებული სოფლის მშრომელი გლეხობის ფართე მასებით.

ყველა გამოეხმაურა ჟორდანია-რამიშვილის ახალი ავანტიურის სამზადისს, ყველამ დაგმო იგი, როგორც ჩვენი ქვეყნისა და ერის დამღუპველი აქტი.

ჩვენს გაზეთში ჯერაც არ შეწყვეტილა საზოგადოების ფართო მასების, განსაკუთრებით მშრომელი გლეხების საპროტესტო წერილების ბეჭდვა ქართველი ემიგრაციის ლიდერების ამ ახალი სისაძაგლის წინააღმდეგ.

ეს ადვილი მისახვედრია: ჟორდანია-რამიშვილს ჯერ ასეთი დიდი მარცხი არ მოსვლიათ. იმათ არა ერთი და ორი უბედურება დაატეხეს თავზე, არა ერთი და ორი სისხლიანი ოპერაცია გაუკეთეს ქართველ ხალხს. მაგრამ ისინი თითქმის ყოველთვის ახერხებდენ საოპერაციო დანის დამალვას. ისინი ყოველთვის პოულობდენ უბრალო ყველაფრის ამტანსა და ყოველიფრის მომთმენ „მეისრეს", რომელსაც ჩვეულებრივად გადააბრალებდენ ხოლმე თავის ბოროტ საქმეებს: ეს ამ მეისრის ბრალია, ეს მან ჩაიდინა; ჩვენ ეს არ გვითქვია, ჩვენ ეს არ გვიქნია, ჩვენ ეს არ გვინდოდაო...

ასე მოიქცა ნოე ჟორდანია აგვისტოს ავანტიურის შემდეგ. ხალხი გააბრიყვა, მოატყუილა, სისხლში შეაცურა... და ბოლოს ეს საშინელი საქმე კოტე ანდრონიკაშვილის საქმეთ გამოაცხადა და პარტიიდან მისი გაძევება მოითხოვა: ჩვენს დირექტივებს არ დაემორჩილა, ნაციონალ-დემოკრატების ფეხის ხმას აჰყვა და აჯანყება მოაწყოვო.

სულ სხვა ხასიათის იყო და არის ჟორდანია-რამიშვილის უკანასკნელი „პროვალი". აქ იმათ გასაქანი არა აქვთ. მართლაც რა უნდა თქვან, რითი უნდა იმართლონ თავი, როცა მათი საკუთარი ხელით დაწერილი დოკუმენტები ფოტოგრაფიის საშუალებით გადაღებული მთელ ქვეყანას მოეფინა?

ასეთ მდგომარეობაში ისეთი ადამიანი, რომელსაც სინდისისა და პატიოსნების ნატამალი მაინც შერჩენია, თითს მოკაკვავდა და იტყოდა: დამნაშავე ვარო და მომავალში მაინც ხელს აიღებდა ასეთ საქმეზე. ნ. რამიშვილისაგან, ჩვენ, რა თქმა უნდა, ასეთ პრიმიტიულ პატიოსნებასაც არ მოველოდით. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს „უშიშარი რაინდი" თავისებურის უტიფრობითა და კადნიერებით კიდევ გამოსაძრომ ხვრელს დაუწყებდა ძებნას, კიდევ იტყოდა რამეს თავის ბოროტი საქმის გასამართლებლად.

არც ნოე ჟორდანიასა ვყევართ მიჩვეული ასეთ პირდაპირობაზე: იმასაც ჯერ არასოდეს არ უცვნია დანაშაული, არასოდეს არ ჩაუდენია ეს ყველასთვის საჭირო და სავალდებულო „ჯენტლემენობა"... მაგრამ გვეგონა, რომ ამ საშინელი და უმაგალითო „„პროვალის" შემდეგ ის სიჩუმით მაინც გვიპასუხებდა...

სამწუხაროდ, არც ნ. ჟორდანიამ გაამართლა ჩვენი ასეთი მოლოდინი. დღეს ისიც რამიშვილობს, დღეს ისიც თავის საშინელ მდგომარეობიდან გამოსაძრომ ხვრელს ეძებს, ისიც რამიშვილთან ერთად სცდილობს თავის დაღწევას იმ ცეცხლის რკალიდან, რომელშიაც მან თავი ჩაიგდო... და რაკი ამას ვერ ახერხებს, ისიც მორიელსავით ანთხევს თავის უკანასკნელ გესლს, ცდილობს მოშხამოს მაინც თავისი მოწინააღმდეგენი.

ამაო ცდაა. ნ. ჟორდანია თავს ვერ დაიხსნის ცეცხლის რკალიდან. ის უკვე წარსდგა ქართველი ხალხის წინაშე, როგორც ახალი ავანტიურის პლანების ავტორი, მისი ასეთი როლი უკვე დააფასა ქართველი ხალხის არა მარტო ინტელიგენციამ,—რომლის მოშხამვასაც ასე ამაოდ ცდილობს ნ. ჟორდანია,—მისი ასეთი „მოღვაწეობა" უკვე დაგმო და ქვეყნისა და ხალხის დამღუპველად გამოაცხადა თვითონ ქართველი ხალხის ფართე მასებმა, განურჩევლად მათი პარტიული რწმენისა და სოციალური მდგომარეობისა...

ეს ასეა. მაგრამ ჟორდანია და რამიშვილი უკანასკნელად კიდევ ფაფხურობენ. ისინი კიდევ ერთხელ ცდილობენ გაშლილი ფრონტით გამოსვლას, რა ენაღვლებათ? რა დოვლათი აბადიათ, რომ ომში დაკარგონ? ცდა ხომ ბედის მონახევრეა: იქნება ათიოდე გულუბრყვილო ადამიანი კიდევ დააჯერონ თავის უბიწოებაში. ასეთი ზნეორივი კოტრობის დროს ესეც დიდი კაპიტალია.

ამიტომ არის, რომ უტიფრობისა და უძლურების სინონიმი ჟურნალი „ბრძოლა“ კიდევ არ ღალატობს თავის ჩვეულებას, ის ერთხელ კიდევ ცდილობს ბრძოლის ველზე გამოსვლას, ერთხელ კიდევ გამოდის ჟორდანია-რამიშვილის პოლიტიკური უბიწოების დამცველად.

ფრონტი გაშლილია. სურათი მართლაც გულის ამჩუყებელია... ცეცხლის რკალის შუა გულში დგანან ჟორდანია და რამიშვილი. „ჯარის“ მარცხენა ფრთას ხელმძღვანელობს ამხ. სანდრო გვიმრაძის გმირი დავით შარაშიძე, მარჯვენა ფრთას ვინმე ყადი... ყველა ესენი გამოდიან გაშლილი ფრონტით, ცდილობენ ცეცხლის რკალის გარღვევას, ცდილობენ თავდაცვიდან შეტევაზე გადასვლას.

მაგრამ მათი „ბრძოლა“ სულთმობრძავ უკანასკნელ ფართხალს უფრო ჰგავს, ვიდრე ბრძოლას. ტვიისმფრქვეველებისა და ზარბაზნების ყუმბარების ნაცვლად თქვენ აქ ხედავთ გაცოფებული ადამიანების დორბლს, ბალღამს, მოწინააღმდეგეთა ლანძღვა-გინებას და არც ერთ ისეთ საშუალებას, რომელსაც შეეძლოს არა თუ მტრის გაკაწვრა მაინც, ბეღურების დაფრთხობაც კი.

მთელი ეს აურ-ზაური ატეხილია ქართველი ემიგრაციის დალაილამას ნ. ჟორდანიას დაცვის მიზნით და ეს უკანასკნელიც, უტევს რა მტერს თავის გოშიათა „რაზმებს“, თვითონ ცდილობს მტერს თავდაჭერილად ეჩვენოს, ცდილობს თავის მართლებას, ცდილობს მიიღოს შეურაცყოფილი უბიწოების პოზა...

ამაო ცდაა. დავარწმუნებთ ნოე ჟორდანიას, რომ მან ეს ბრძოლა უკვე წააგო. მას ვერავითარი „პოზა“ ვერ უშველის. აქ ბრძოლის წაგებ-მოგება იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ ვინ უფრო მეტს იყვირებს, ვინ უფრო მეტ დორბლს დაადენს, ვინ უფრო მეტს აგინებს მოწინააღმდეგეს. აქ საქმე დაწერილსა და დაბეჭდილ დოკუმენტებთანა გვაქვს და ნ. ჟორდანიას მოხსენება რუსული თქმულება: კალმით დაწერილს, ცულითაც ვერ წაშლით.

მაშ გავაშიშვლოთ ეს „უშიშარი“ რაინდები, ავხადოთ მათ ნიღაბი და გამოვიტანოთ მოედანზე მათი საგმირო საქმეები.

დავიწყოთ ნოე ჟორდანიადან.

ნ. ჟორდანია „ბრძოლის“ 25 ნომერში, თავისი სახელისა და გვარის მხოლოდ პირველი ასოების მოწერით (აბა მთელ სახელსა და გვარს როგორ გაიმეტებდა ასეთი პატარა საქმისათვის, როგორიც ქართველი ხალხის სუსტ სხეულზე პატარა სისხლიანი ოპერაციის გაკეთება?) ათავსებს „მცირე შენიშვნას“, რომელიც, — არც მეტი, ნაკლები,—უდრის ოც სტრიქონს. ჩვენ აქ თითქმის სულ შეუმოკლებლად მოვიყვანთ ამ წერილს; გამოვტოვებთ მხოლოდ ისეთ ადგილებს, რომლებიც არც ჩვენთვის და არც ავტორისთვის არაფერ ღირებულებას არ წარმოადგენს.

აი ეს წერილი:

„ბოლშევიკები დიდ სიხარულშია. მათ ხელში ჩაიგდეს **ჩემი კერძო წერილი ქარცივაძისადმი მიწერილი საზღვარგარეთ** (ხაზი ყოვალგან ჩვენია) და დიდ ზეიმს მიეცენ... ვინაიდან ამ წერილს თან ახლავს ყველა **კერძო წერილების** ნაკლულოვანებანი, ამიტომ, გაუგებრობის ასაცილებლად, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი: წერილის შედგენაში არავის არ მიუღია რაიმე მონაწილეობა, **არ ყოფილა დანიშნული საქართველოში გასაგზავნათ** და ამიტომ შიგ გამოთქმული აზრები არ არის დასაბუთებული და განმარტებული, როგორც ეს საჯაროდ თქმულ აზრებს შეეფერება“. (იხ. „ბრძოლა“, № 25, გვერდი 17).

აი ნ. ჟორდანიას „მცირე შენიშვნის“ მთელი შინაარსი.

ნ. ჟორდანიამ ისე მიგვაჩვია მორალურსა და პოლიტიკურ „სიურპრიზებს“, რომ მისგან არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს. მაგრამ ჩვენში კიდევ მოიპოვებიან ისეთი გულუბრყვილოები, რომლებიც, ალბათ, მაინც არ მოელოდენ მისგან ასე „თვალსა და ხელს შუა ტყუილს“.

ნ. ჟორდანია ამას წარბშეუხრელად კადრულობს. ის სიყალბით ცდილობს ხალხის თვალების ახვევას და მით იმ ცეცხლის რკალიდან თავის დაღწევას, რომელშიც მან თავისი თავი ჩაიყენა.

ჩვენ ახლავე დავინახვთ, რომ ნოე ჟორდანიას ეს ერთი ციცქნა წერილი უდიდეს ტყუილებს შეიცავს, რომ იქ რამდენი სტრიქონია, იმდენი ტყუილია.

დავიწყოთ მისი წერილის პირველი სტრიქონიდან: „ხელში ჩაიგდეს ჩემი კერძო წერილი ქარცივაძისადმი საზღვარგარედ მიწერილი“-ო.

ვაი, სირცხვილო, სად არიან სიწითლენი შენი? განა ასეთი ტყუილი და თვალთმაქცობა შეიძლება?

ალბათ, ავტორს იმისი იმედი აქვს, რომ მისი „სადირექტივო წერილი“-ს შინაარსი მკითხველს უკვე დავიწყებული ექნებაო და ამიტომ ფიქრობს რამდენიმე გულუბრყვილო მაინც დააჯეროს თავისი სიტყვების სიმართლეში.

რა ტყუილად დამაშვრალა ქართველი ემიგრაციის დალაილამა! რა ტყუილად ცდილობს იგი ასეთი პატარა ხვრელიდან გაძრომას! ნურას უკაცრავად, თუ ჩვენ მას არ მივცემთ საშუალებას კიდევ ატყუილოს ხალხი. ჩვენ აქვე მოვიყვანთ მისი სადირექტივო წერილის“ სწორედ იმ ადგილებს, რომელიც ჟორდანიას „მცირე შენიშვნას“ შეეხება და რომელიც სრულიად ცხადჰყოფს მის სიყალბეს.

აი რას სწერდა იგი თავის „სადირექტივო წერილში“ ვანო ქარცივაძეს:

**„გავიგე, რომ მიდიხარ საქართველოში სამუშაოთ. ამასთანავე გაცნობებ ჩემს დავალებებს, როგორც ტეხნიკურს, ისე პოლიტიკურს“...** (ხაზი ჩვენია).

ამის შემდეგ ჟორდანიას შესწევს ვაჟკაცობა ქარცივაძის ხელით გამოგზავნილი „სადირექტივო“ წერილი „კერძო ხასიათის“, ქარცივაძისადმი საზღვარგარედ მიწერილად გამოაცხადოს. დღეს ის გვეუბნება:

**„წერილი არ ყოფილა დანიშნული საქართველოში გასაგზავნათო“.**

მართალი მოგახსენოთ, ძნელია ასეთ ადამიანთან იდეური ბრძოლა. რითი გინდათ ებრძოლოთ ასეთ ადამიანებს? რითი გინდათ დაუმტკიცოთ, რომ ისინი სტყუიან? სიტყვას მათთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამონაწერების შედარება, მათი ანალიზი, მათგან დასკვნების გაკეთება მათთვის უბრალო წყლის ნაყვაა. მათთვის არ არსებობს არავითარი საზომი, მათ არა აქვთ მეტრი, არა აქვთ კანონი, რომელსაც უნდა დაემორჩილონ. ისინი ნაქურდალით ხელში დაჭერილ ადამიანსავით გიპასუხებენ: ეს მე არ მომიპარავს, ეს მე ვიღაცამ დამწამა, ვიღაცამ ჩამიდო მატყლი ხალთაშიო. ცირკში მოჭიდავეებს აქვთ თავისი კანონი, თავისი ეტიკა, თავისი მეტრი, როცა ერთი ფალავანი მეორეს ორივე ბეჭებით მიწაზე წამოაწვენს, უკანასკნელი თავს დაძლეულად სცნობს...

ჟურნალისტიკაში და ისიც ისეთში, როგორიც „ბრძოლაა“, ასეთი კანონიც არ არსებობს. იქ ერთხელ და სამუდამოთ დაკანონებულია ხალხის თქმულება: ენას ძვალი არ აქვს და ქაღალდი ყოველიფერს აიტანსო“.

ამიტომ არის, რომ ეს ვაჟბატონები ჩმახავენ, რაც ენაზე მოადგებათ, აწყობენ ავანტიურას, ღუპავენ ხალხს და როცა მათ ამ „სანაქებო“ საქმეზე იჭერენ, ისინი მართავენ ყვირილს: ჩვენ ეს არ გვითქვია, ჩვენ ეს მოგვაწერეს, ჩვენ ცილსა გვწამებენო.

მაგრამ დაუბრუნდეთი ქარცივაძისადმი ნოე ჟორდანიას დავალებებს:

ჟორდანია „მცირე შენიშვნაში“ თავს ასე მართლულობს:—წერილი (სადირექტივო წერილზეა ლაპარაკი) არ ყოფილა დანიშნული საქართველოში გასაგზავნათო“.

მერე ეს ხომ უდიდესი სიცრუეა. ჟორდანია უდიდესი ტეხნიკური, პარტიული და პოლიტიკური დავალებებით გზავნის ვანო ქარცივაძეს საქართველოში.

ვალაპარაკოთ თვითონ ჟორდანია:

„პირველი დავალება იქნება ის, რომ იყო ჩვენთან მუდმივ მიწერ-მოწერაში. ყოველივე ამბავი, ცოტაოდნავად მაინც საზოგადო მნიშვნელობისა, რაც კი მოხდება იქ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ“.

აბა ამის შემდეგ როგორ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ წერილი კერძო ხასიათის იყო, რომ იგი საქართველოში გასაგზავნათ არ იყო დანიშნული, რომ ის ქარცივაძისადმი მხოლოდ აქ, საზღვარგარედ აზრების გაცვლა-გამოცვლა იყოვო.

„ჩვენთან მუდმივი მიწერ-მოწერა უნდა გქონდესო“. საიდან? რა თქმა უნდა, საქართველოდან.

„ყოველივე ამბავი ცოტაოდნავად მაინც საზოგადო მნიშვნელობისა, რაც კი ხდება იქ, ჩვენ უნდა ვიცოდეთო“.

რა „ამბებზეა“ აქ ლაპარაკი? რა თქმა უნდა იმაზე, რაც საქართველოში ხდება.

„სადირექტივო“ წერილში ჟორდანიას ჩამოთვლილი და ცალკე თავებათ აქვს დაყოფილი ყოველი ის, რასაც იგი ქარცივაძეს ავალებს საქართველოში.

პირველ ტეხნიკურ დავალებას ჩვენ უკვე გავეცანით. გავეცნოთ ორ სხვა დავალებებსაც.

„მეორე დავალება პარტიულ-პოლიტიკურია“,— სწერს ნ. ჟორდანია იმავე ქარცივაძეს. აქ მას დაწვრილებით აქვს ჩამოთვლილი თუ რაქნას, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ პირობებში პარტიამ და კერძოთ ქარცივაძემ.

„მესამე დავალება ტაქტიკურ-პოლიტიკურიაო“,— სწერს ნოე ჟორდანია იმავე ქარცივაძეს, რომელსაც აძლევს შესაფერ დირექტივებს.

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ნოე ჟორდანიას ვანო ქარცივაძე („აბესალომ პრაგელი“) გამოუგზავნია საქართველოში „სადირექტივო“ წერილით, რომ მას მისთვის მიუცია უდიდესი დავალებები როგორც: **„ტეხნიკური, პარტიულ-პოლიტიკური და ტაქტიკურ-პოლიტიკური“.**

კიდევ ერთი დავალებაც იმ შემთხვევისათვის, თუ რუსეთში ეროვნული მოძრაობა დაიწყებოდა:

„ასეთ პირობებში,—სწერს ჟორდანია თავის „სადირექტივო“ წერილში,—ჩვენი პარტია გამოდის მეთაურად ნაციონალური მოძრაობისა და უცხადებს აშკარა ბრძოლას ყველა მოსკოვურ იმპერიალისტურ ელემენტებს, არის ეს ბრბო, თუ რუსეთის ოფიცრები და ჯარის ნაწილები“.

აბა ვინ დაუჯერებს ნ. ჟორდანიას, რომ ის ყოველ ამას ისე, სასხვათაშორისოთ, უბრალო მასლაათისათვის სწერდა ვანო ქარცივაძეს და არა საქართველოში წამოსაღებათ და აქ ცხოვრებაში გასატარებლათ?

ვის არწმუნებენ ჟორდანია-რამიშვილი, რომ ასეთი უაღრესად საპასუხისმგებლო და სახიფათო აზრები მათ თავისი საკუთარი ხელებით დასწერეს, ისე ყასიდათ, სახუმარო-გასართობად და მისცეს ვანო ქარცივაძეს. ეს ლექსები ხომ არ იყო, რომელსაც შეყვარებული პოეტები ალბომში უწერენ ლამაზ ქალებს?

აქ ცოტა რამ ამ დოკუმენტების საკუთარი ხელით დაწერის შესახებაც.

როგორც ჟორდანია, ისე რამიშვილი თავის „სადირექტივო“ წერილებს მანქანაზე კი არ აბეჭდვინებენ. ისინი ამ დოკუმენტებს სწერენ თავისი საკუთარი ხელებით?

რატომ? ეს ხომ უაღრესად სახიფათო საქმე იყო? მანქანაზე დაწერილ დოკუმენტზე, თუ მას მოწინაამდეგე ხელში ჩაიგდებდა, ჟორდანია-რამიშვილს შეეძლოთ უარი ეთქვათ: ეს თქვენი მოჩმახულია, ეს ჩვენი დაწერილი არ არისო და მით რამდენიმე გულუბრყვილო მკითხველს მაინც მიიმხრობდენ.

მართალი მოგახსენოთ, როცა ჩვენ ეს „სადირექტივო“ წერილების შესახებ გაზეთში დავწერეთ და ის კიდევ არ გამოგვექვეყნებია, ყველა ჩვენი მტერი და მოყვარე ერთხმად გვეუბნებოდენ: ტყუილია, ჟორდანია მაინც ასეთ სისულელეს არ ჩაიდენდა, ის თავის ხელით დაწერილ დოკუმენტებს ქარცივაძეს არ ანდობდა. ეს არც საჭირო იყო, რადგანაც შეეძლო ამ დოკუმენტის შინაარსი ზეპირად დაესწავლებია თავის ემისარისათვის და მისი აქაური ამხანაგებისათვის ეს სრულიად საკმაო იქნებოდაო.

ეს სრულიად სამართლიანი შენიშვნა იყო, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ჟორდანიამ მოიქცა ისე, როგორც მოიქცა. ესე იგი მან თავისი საკუთარი ხელით დაწერილი დოკუმენტი გამოუგზავნა თავის აქაურ ამხანაგებს ქარცივაძის ხელით.

— რატომ? ნუ თუ ლევილში საწერი მანქანა ვერ იშოვეს?

არა, ჟორდანიამ იცოდა თუ რას სჩადიოდა. მან იცოდა, რომ მისი აქაური ამხანაგები და თანამგრძნობები უამისოდ არ ენდობოდენ ვანო ქარცივაძეს. მათთვის საჭირო იყო ჟორდანიას და რამიშვილის ნამდვილი დავალებები და ისინიც იძულებული იყვნენ მოქცეულიყვნენ ისე, როგორც მოიქცენ.

აი რატომ ანდო ნოე ჟორდანიამ ვანო ქარცივაძეს თავისი საკუთარი ხელით დაწერილი დოკუმენტი.

ამიტომ გაება ჟორდანია ხაფანგში, რომლიდანაც ის თავს ვერას გზით ვერ დააღწევს. ამიტომ არის, რომ ის უარს არ ამბობს იმაზე, რომ წერილი მისია. ის თავის „მცირე შენიშვნას“ ასეთ განმარტებასაც უკეთებს: „წერილი სავსებით დაბეჭდეს. მხოლოდ რამდენიმე სიტყვებია შეცვლილი, როგორც, მაგალითად, ბ-ბი (ბოლშევიკები) წაკითხულია „ბრბოთ“, რაც აზრთა საერთო მსვლელობას არ არღვევს“.

მაშ როგორ, რისი და ვისი იმედით ბედავს ნოე ჟორდანია ამ თავისი ხელით დაწერილი დოკუმენტის უარყოფასა და გაბათილებას, ვისი და რისი იმედით ასაღებს იგი ამ დოკუმენტს: კერძო წერილად, რომელიც ვითომ არ ყოფილა საქართველოში გასაგზავნად დაწერილი.

ამის პასუხი ძნელი მოსანახავია. ეს უბრალო ბავშური ფეხმოკლე ტყუილია. ეს ერთი შეხედვით პირდაპირ დაუჯერებელი და გაუგებელია, მაგრამ მხოლოდ ერთის შეხედვით. რას იზამთ? ყოველიფერს თავისი ლოღიკა აქვს და ლოღიკა კი ულმობელია. ვინც **„ანი“** თქვა, მან **„ბანიც“** უნდა თქვას. ვინც მთელ თავის მდგომარეობას სიცრუეზე და სიყალბეზე ამყარებს, მან ბოლომდე უნდა ითვალთმაქცოს, ბოლომდე უნდა იტყუილოს და იჯამბაზოს.

ნ. ჟორდანია და მისი „მთავრობა“ მალე შვიდი წელია, რაც ქვეყანას ატყუილებენ: იქ ევროპაში თავს ქართველი ხალხის წარმომადგენლად ასაღებენ,—თუმცა კარგად იციან, რომ მათ ქართველმა ხალხმა და მისმა დამფუძნებელმა კრებამ, როგორც ფორმალურად, ისე ფაქტიურად, ახალა ნდობა, კანონგარეშე გამოაცხადა ჟორდანიაც და მისი მთავრობაც,—და იმავე დროს აქ, საქართველოში, თავისი ამხანაგების მეტის მეტად შეთხელებულ რიგებს ევროპის იმედით ატყუილებენ: თქვენ მხოლოდ ავანტიურაში მონაწილეობა მიიღეთ, საკუთარ ხელისუფლებას აუჯანყდით და ევროპა თქვენთვის სულსაც არ დაიშურებსო...

რა გასაკვირია, რომ ასეთ ადამიანებს ტყუილი და სიყალბე ბუნებად ჰქონდეთ გადაქცეული.

* * *

კიდევ უფრო ძნელი, ყოველ შემთხვევაში არა სასიამოვნო და არასაკადრისი სურნელოვანია ჟორდანიას თანტყუპი, ნოე რამიშვილის ახლოს შეჩერება, მასზე წერა და ლაპარაკი. ეს ისეთი ტიპია, რომელიც არ თავსდება არავითარი ზნეობრივი კანონების კალაპოტში, ეს ისეთი ტიპია, რომელთანაც წერის დროს არა ვგონებთ, რომ ჩვეულებრივი ანტი-გაზი საკმაო გარანტიას წარმოადგენდეს ადამიანისათვის.

ნ. ჟორდანიას „მცირე შენიშვნას“ თან მოსდევს ნ. რამიშვილის **„ჩემი განმარტება“**, რომლის ავტორიც არც აქ ღალატობს თავის ბუნებას და პირდაპირ ზნე-დაცე-

შული დედაკაცის როლში გამოდის. ის პირდაპირ გადადის თავდაცვიდან შეტევაზე და მის მაგიერად, რომ პასუხი გასცეს აღშფოთებულ ქართველ საზოგადოებას: როგორ გაბედა მან საშინელი ავანტიურის განმეორების ცდა, ის ლანძღვა-გინებით ამკობს „საოკუპაციო“ ხელისუფლებას, ისიც ნ. ჟორდანიას ყოვლად უსუსურ ფანდებს მიმართავს, მაგრამ, რა თქმა უნდა, უფრო გაბედულად, უფრო უსირცხვილოდ, უფრო უტიფრად.

რა „სადირექტივო“ წერილები, რის აჯანყების მოწყობა, რა ემისრის გაგზავნა? ეს ყველაფერი მოჭორებული ზღაპარიაო!

ასე უტიფრად გაკვინტრაცების შემდეგ ეს „უშიშარი რაინდი“ სიტყვა-სიტყვით იმეორებს ნ. ჟორდანიას სიტყვებს, ისიც კერძო წერილათ, კერძო მიწერ-მოწერად, საინფორმაციო ხასიათის აზრთა გაცვლა-გამოცვლად ასაღებს.

მოვუსმინოთ თვითონ რამიშვილს:

„ის წერილი, რომელიც საოკუპაციო ხელისუფლებამ გამოაქვეყნა სათაურით: „აბესალომის საყურადღებოთ“, **შეიცავს არა ტაქტიკის გამორკვევა-დასაბუთებას, არამედ ჩემს პირად პასუხს სხვადასხვა კითხვებზე,** (ხაზი ყოველგან ჩვენია) უმთავრესად პრაქტიკული ხასიათისაა. რასაკვირველია, მათ (?) აკლია დასაბუთება და შესაფერი ახსნა-განმარტება, რაც სრულიად ზედმეტი იყო **საინფორმაციო ხასიათის აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს**“. (იხ. „ბრძოლა“, № 25, გვერდი 18).

აბა რა უნდა უთხრათ ასეთ ადამიანს? რა გინდათ დაუმტკიცოთ ისეთ მოპირდაპირეს, რომელსაც არაფერი წმინდა არ გააჩნია, რომელსაც ტყუილი და ყალბის მქნელობა ბუნებათ გადაუქცევია?

მეტი რა ჯანი გვაქვს: აქვე უნდა ამოვწეროთ მისი „სადირექტივო“ წერილიდან შესაფერი ადგილები და მით საშუალება მივსცეთ ხალხს ნოე რამიშვილის სიყალბეს გაეცნოს.

აი რა დავალებებს აძლევს ნ. რამიშვილი „აბესალომ პრაგელს“, რომელსაც ის გზავნის საქართველოში პარტიულ მუშაობისა და აჯანყების ხელმძღვანელად, თუ ბოლშევიკების დაცემა შინაგან კრიზისმა გამოიწვია:

„დაუყოვნებლივ უნდა დავეპატრონოთ სახელმწიფო ძალა-უფლებას. ბოლშევიკები შევიპყრად და აღვადგინოთ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ამავე დროს უნდა დავეხმაროთ აზერბეიჯანის ერს და მთიულებს აღადგინონ და დაიმკვიდრონ დამოუკიდებელი რესპუბლიკები“.

აი რამიშვილისა და ჟორდანიას „სადირექტივო“ წერილების მიზანი. აი რის განხორციელებას ავალებენ ისინი „აბესალომ პრაგელსა“ და მისი საშუალებით ს. ს.-დ. პარტიას, რომლებსაც შემდეგ გზებს უჩვენებს:

„ამ მიზნით ჩვენ დღეიდანვე მეტად კონსპერატიულად უნდა გავაბათ კავშირი ქართული ლაშქრის უფროს ოფიცრებთან, რათა შესაფერ მომენტში შეგვეძლოს მათზე დაყრდნობა, ლაშქარში არსებულ ბოლშევიკურ უფროსთა და ჯარისკაცთა შეპყრობა და მობილიზაციის წესით მისი შევსება“.

„ჩვენი მიზანია არსებულ ქართულ ლაშქრის გადაქცევა დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავარ ბერკეტად—და მით ჩვენი ბრძოლის გაადვილება. საჭირო იქნება დაუყოვნებლივ ლაშქრის ხელმძღვანელთა გაწმენდა მობოლშევიკო და ფაშისტურ-რეაქციონერ ელემენტებისაგან“.

„უნდა ვერიდოთ შევქმნად გვარდია და მსგავსი რაზმები. პირიქით, თავიდანვე შევეცადოთ ყველა მოხალისეთა რაზმები ლაშქარში ჩავრიცხოთ და სასტიკ დისციპლინას დაუმორჩილოთ.

„რომ გადატრიალებისას ქვეყნის ბატონ-პატრონი დემოკრატია შეიქნეს და არა ფაშისტურ-რეაქციონური ელემენტები და ან სხვადასხვა ჯურის ყაჩაღნი, აქედანვე უნდა მოვახდინოთ მოხალისეთა ჩუმი აღრიცხვა. ამისთვის სრულიადაც არ არის საჭირო მათი თავმოყრა და მათგან ნებართვის მიღება, არამედ ვარაუდათ ზედმეტ სახელის წოდებით ჩვენი მომხრეთა საიდუმლო აღწერა. ეს განსაკუთრებით საჭიროა თბილისში, სადაც უნდა ვიყოლიოთ საკმაო ძალა იმ შემთხვევისათვის“.

ასეთია რამიშვილის დირექტივები. ამას გარდა რამიშვილი პრაგელს აძლევს დავალებას „დამოუკიდებლობის“ ან „განმათავისუფლებელი კომიტეტის“ დაარსების შესახებ:

„რომ უკეთ ჩავშალოთ ავანტიურისტთა გეგმა (ლაპარაკია ეროვნულ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთის ფაშისტური მოღვაწეობის შესახებ), აუცილებელია შევქმნათ დამოუკიდებლობის (ან განმანთავისუფლებელი) კომიტეტი სამი პარტიისაგან: სოციალ-დემოკრ.; სოციალისტ ფედერალისტებისა და მთლიანი ფრონტის მომხრე ეროვნული დემოკრატებიდან“.

კიდევ უფრო შესანიშნავია დავალება ნაც.-დემოკრ. პარტიისათვის ცენტრალური კომიტეტის შექმნის შესახებ.

აი რა დირექტივებით დატვირთული გამოგზავნეს ჟორდანია-რამიშვილმა ვანო ქარცივაძე საქართველოში.

დღეს, როცა ეს ვაჟბატონები მათ მიერ დაწერილი დოკუმენტებით ხელში დაიჭირეს, ისინი ახალ სიყალბეს ჩადიან. ამ დოკუმენტების მიფუჩეჩებას ლამობენ, მათ „კერძო ხასიათის მიწერ-მოწერათ, საინფორმაციო აზრთა გაცვლა-გამოცვლად“ ასაღებენ.

ეს პირდაპირ შანტაჟისტობაა. ეს ნოე რამიშვილისათვისაც მეტის მეტია...

ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, რომ ასეთი ადამიანები ყოველთვის გაურბიან პრინციპიალურ კამათს და მხოლოდ მოწინააღმდეგეთა ლანძღვა-გინებით უნდათ აუხვიონ თვალები რამდენიმე გულუბრყვილოს მაინც და მით ფონს ადვილად გავიდენ.

ამის შემდეგ გასაგებია, თუ რატომ აკნავებენ ისინი თავის ფინიებს „ბრძოლის“ ფურცლებზე და თვითონ კი ბრძოლის ველს გაურბიან.

# საქართველო აჩრდილების ტერორ ქვეშ

ნ. ჟორდანიამ და მისმა „მთავრობამ“ მთელი ევროპა გააჯერეს იმაზე წერითა და ლაპარაკით, რომ კომუნისტებმა სიტყვის, წერისა და სინიდისის თავისუფლება მოსპესო.

ეს უაღრესად პოპულიარული თემაა ემიგრაციის ლიდერებისათვის, რომლებიც ისე ენას არ მოიბრუნებენ, რომ კომუნისტებს ეს ბრალდება არ წამოუყენონ. ჟორდანია-რამიშვილი ამის დამამტკიცებელ ფაქტებს ყველაზე უფრო მოითხოვენ თავისი თანამოაზრეებისაგან. თავის „სადირექტივო“ წერილში ისინი პირველ ადგილს უთმობენ ამ საქმეს.

ასე დიდ ყურადღებას აქცევენ დემოკრატიის ყოფილი ვესტალკები ამ საკითხს, მტერსა და მოყვარეს თავს სინდისის თავისუფლების უშიშარ რაინდებათ აჩვენებენ და იმავე დროს თვით ისინი გამოდიან წერის, სიტყვის და სინდისის თავისუფლების უდიდეს ჯალათებათ. ჩვენ სერიოზულად ვამტკიცებთ, რომ არასოდეს, არც ერთ სახელმწიფოში, არც ერთი რეჟიმის დროს არ იდევნებოდა და არ ითელებოდა ფეხქვეშ სინდისის თავისუფლება ისე, როგორც ის იდევნება დღეს საქართველოში ჟორდანიასა და მისი „მთავრობის“ მიერ.

დღეს ჩვენში საკვირველ მოვლენას აქვს ადგილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, როცა იგი მართლაც მთავრობას გავდა, როცა მას ჰქონდა ხელისუფლების ყველა ატრიბუტები, როცა მას წელს უმაგრებდა დამფუძნებელი კრება, ჯარი, გვარდია... და

ნოე რამიშვილის განსაკუთრებული რაზმი,—მაშინ ეს დემოკრატიული მთავრობა ყოვლად უძლური, ყოველგვარ გავლენას, როგორც მორალურს, ისე მატერიალურს, მოკლებული იყო. მართალია, ნ. რამიშვილი ბევრს ფართიფურთობდა თავისი საგანგებო რაზმით, მაგრამ მისი არავის არ ეშინოდა. მართალია, იგი თაგამოდებით დევნიდა კომუნისტების პრესას,—ერთ ორჯერ მათი სტამბაც კი დაკეტა,—მაგრამ ამით კომუნისტურ აზროვნებას დიდი არაფერი დაუკარგავს და კომუნისტები სულაც არ გრძნობდენ რამიშვილის ტერორის სიმძიმეს.

ეს ასე იყო უწინ, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი მთავრობა ფაქტი იყო, როცა ის რაიმე ძალას მაინც წარმოადგენდა ქვეყნის თვალში.

მაგრამ ეს ასე არ არის დღეს, როცა ჟორდანიას „მთავრობა“ კარგა ხანია თავს „გადაელო“ საქართველოსა და ქართველ ხალხს, როცა იგი ევროპის ბურჟუზიის უბრალო სათამაშო ნივთად, მის საშავორშაფათო ყეინად გადაქცეულა და სამოწყალოდ ხელ-გაწვდილი დაეხეტება ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების მთავრობათა კარებზე.

დღეს ეს მთავრობის აჩრდილი, რომელიც ბნელ ღამეში საიქიოდან მოვლენია ქვეყანას, აჩრდილი, რომელიც მამლის პირველ ყივილზე უნდა გაქრეს, დღეს სიკვდილის შემდეგ თითქო რაღაც ძალად გადაქცეულა და ცდილობს ტერორ ქვეშ დააყენოს მთელი საქართველო, ქართველი საზოგადოებრივი აზროვნება, ქართველი ხალხის სიტყვა, პრესა, სინდისი.

განა ამაზე დიდი საკვირველბა იქნება! მას შემდეგ, რაც საქართველოს გასაბჭოება მოხდა, ჟორდანიას მთავრობის ეს აჩრდილი არავის არ აძლევს ნებას საქართველოში, თავის საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ თავზე, საკუთარ ინტერესებზე იფიქროს, იმსჯელოს, წეროს, თავისი საკუთარი აზრი და შეხედულება გამოსთქვას.

როცა ქართველი ემიგრაციის პერიოდულს თუ ერთდროულ გამოცემებს ეცნობით, პირდაპირ განცვიფრებას ეძლევით: ყველა ამ გამოცემებში გამეფებულია ერთი მოტივი, ყველა იმათში მიღებული და დაკანონებულია ერთი მეტრი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საქართველო გასაბჭოების დღიდან იღუპება როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად, კულტურულად და მორალურად, რომ სისხლიდან იცლება ხალხი და ქვეყანა.

ეს არის და ეს მთელი შინაარსი ქართველი ემიგრაციის საზღვარგარეთელი გამოცემისა, ეს არის მთელი შინაარსი აქაური, საქართველოში „მომუშავე“ ს.-დ. პარტიის „ცეკას“ გამოცემებისაც. ამას და მხოლოდ ამას გაიძახიან ყოველ გზა-ჯვარედინზე, ამას ეუბნებიან ლექსად და პროზათ ქართველი ემიგრაციის ბელადები მტერსაც და მოყვარესაც. ეს არის ქართველი ემიგრაციის და ს. ს.-დ. პარტიის აქ დარჩენილი ნაშხეფების წერისა და ლაპარაკის საგანი.

ისინი ისე ხატავენ საქართველოსა და ქართველ ხალს, როგორც სულმობრძავი ადამიანი, როგორც კატის ბასრ კლანჭებში სისხლიდან დაცლილი ბულბული. ბულბული, რა თქმა უნდა, საქართველო და ქართველი ხალხია, კატა ხომ კომუნისტები და მათი ხელისუფლება.

აი მეტრი, რომლითაც ემიგრაციის ლიდერები ზომავენ აზროვნების თავისუფლებას თანამედროვე საქართველოს შესახებ.

მაგრამ შემცდარი იქნებით თუ იფიქრებთ, რომ ამ საზომითა და სასწორით ევროპაში მოხეტიალე ჯამბაზები მარტო ევროპაში ემიგრაციაში მყოფ ქართველებს უზომავენ თავის ქალას. ისინი ამ მეტრით ზომავენ მთელ ქართველ ხალხს, განურჩევლად მათი პარტიულობისა და სოციალური მდგომარეობისა. კიდევ მეტი: ისინი ამ საზომით უზომავენ თავის ქალას ოტტო ბაუერსა და „Социалистический Вестник“-ის პუბლიცისტებსაც თუ იმათაც ოდესლაც კანტი-კუნტად მაინც წამოსცდებათ რაიმე სალი აზრი საბჭოთა კავშირის შესახებ.

რობა“ ევროპის გამოჩენილ მწერლებსაც კი ახვევენ თავს

თუ ეს ასეა, თუ ჟორდანია და მისი ბუტაფორული „მთავთავის ერთხელ და სამუდამოთ აკვიატებულ ავადმყოფურ აზრს საბჭოთა საქართველოს შესახებ, თუ იმათაც კი უპირებენ თავისი საკუთარი გავლენის ქვეშ დაყენებას, რა გასაკვირია, რომ იმავე ჟორდანიას და იმავე საშავორშაფათო ყეენს ვერც კი წარმოუდგენიათ ქართველი,—სულ ერთია: ცხოვრობს ის საქართველოში თუ ემიგრაციაში,—რომელმაც საბჭოთა საქართველოს შესახებ გაბედოს მათ მიერ დაკანონებული აზრის გადალახვა და თავისი საკუთარი შეხედულებების გამოთქმა.

ასეთი ქართველი ქვეყნის მტრად, ხალხის მოღალატედ, სამშობლოს გამყიდველად, ჯაშუშათ, უსინდისოთ უპატიოსნოთ და ვინ იცის კიდევ რათ არის გამოცხადებული მათ მიერ.

ვაი იმ ქართველის ბრალი, რომელიც ჟორდანია-რამიშვილის ტრაფარეტს გასცილდება, მათ მიერ დაკანონებულ მეტრს არ მიიღებს და მას სიტყვის შებრუნებას გაუბედავს:

— არა, მოქალაქენო! ტყუილად თავს რატომ იწუხებთ? ჩვენ ჯერ სასიკვდილო არაფერი გვიშავს, თავს კარგადა ვგრძნობთ!..

— მოღალატევ! ქვეყნისა და ხალხის გამყიდველო! როგორ ბედავ ასეთ ლაპარაკს? ნუ თუ არ იცი, რომ შენ უკვე მკვდარი ხარ,რომ შენ და ყველა ქართველი და საქართველო კომუნისტურმა ხელისუფლებამ უკვე მოჰკლა და დაასამარა? ნუ თუ არ ხედავ, რომ საქართველო გასაბჭოების დღიდან სისხლიდან იცლება და დაიცალა კიდეც?.

— არა, ბატონო...

— რაო, რაო, შე არამზადავ, შენ! სიტყვის შებრუნებასაც ბედავ?.. წაათრიეთ ეს მამაძაღლი „ბრძოლის“ „საგანგებო რაზმში“, უთხარით დათიკო შარაშიძესა და ყადს ერთი კარგად დაუზილონ მას გვერდები, შემდეგ მიაკრან შუბლზე ჯაშუშის, ქვეყნისა და ხალხის მოღალატის და კიდევ რაც ენაზე მოადგეთ ის სახელწოდება და ისე გაუშვან ქვეყნის სასაცილოდ!..

გაისმის მრისხანე ბრძანება ჟორდანია-რამიშოილისა.

და მართლაც „ბრძოლის“ „ოსობო ოტრიადჩიკები“ ერთგულად ასრულებენ მათი მბრძანებლების დავალებას: ასტეხენ დაუსრულებელ ყეფას და იმდენ სიბინძურეს დაანთხევენ „ბრძოლის“ ფურცლებზე, რომ თვით ყოველიფერის მომთმენი და ამტანი რამიშვილის ცხვირიც ვერ უძლებს მის სურნელებას...

ხუმრობა „გაშვებით იყოს“, როგორც იტყვიან ხოლმე ჩვენში, და ასეთი მდგომარეობა მართლაც რომ აუცილებელია.

წარმოუდგენელია ისეთი ადამიანი, ისეთი საზოგადოებრივი ჯგუფი და მით უმეტეს მთელი ერი, რომლის აზროვნებაც ექვემდებარებოდეს **აჩრდილთა დიქტატურას.** წარმოუდგენელია საზოგადოებრივი აზროვნება, რომელიც თავსდებოდეს, თვით ამ საზოგადოების მიერ უარყოფილი და ისტორიის მიერ დიდი ხნის წინად დასამარებული ორიოდე ადამიანის ნება-სურვილში...

პირველ ხანებში, გასაბჭოების პირველ თვეებში და შეიძლება წლებშიც მართლაც არსებობდა ქართველი ხალხის ერთ ნაწილში ეს აჩრდილთა დიქტატურა, არსებობდა ისე, ინერციით, თუმცა მომპალი და გამხმარი, მაგრამ მაინც ძველი ფესვების მეოხებით.

მაგრამ ამ გამხმარ ფესვებს ყველაზე პირველად ქართველმა მუშებმა შეახეს ბარი, მათ ხმა-მაღლა უარჰყვეს ჟორდანია-რამიშვილის და მათ აჩრდილთა დიქტატურაც მოსპეს. ქართველმა მუშებმა და მშრომელმა გლეხკაცობამ ვერ აიტანეს ჟორდანია-რამიშვილის მიერ შექმნილი მდგომარეობა და უარჰყვეს მათი ზნეობრივი პოლიტიკური ტერორი. მათ გულწრფელად მიიღეს საბჭოთა ხელისუფლება და მისი ხელმძღვანელობით, მასთან ერთად შეუდგენ თავისი საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ საფუძველზე აღმშენებლობის საქმეს.

ქართველი ხალხის ამ საუკეთესო ნაწილმა, მისმა მშრომელმა ელემენტებმა, რომელმაც თავისი საკუთარი ნება-სურვილით შექმნა ს.-დ. პარტია და თავისი საკუთარი სისხლით იცავდა მას, ზურგი აბრუნა თავის საკუთარ წი-

ნაალმდეგობათ გადაქცეულ პარტიას, შეუერთდა კომუნისტურ პარტიას და მასთან ერთად იბრძვის სოციალიზმის დასამყარებლად.

მართალია, დიდი წყევლა-კრულვა და შეჩვენება დაიმსახურა ქართველი ხალხის ამ ნაწილმა. მისი ყველა ასე თუ ისე თვალსაჩინო წევრები უკვე გამოცხადებული არიან ქვეყნის მოღალატეებათ, ჯაშუშებათ და ვინ იცის კიდევ რათ... მათ ყოველდღე უღრენენ და უყეფენ „ბრძოლისა“ და „დამოუკიდებელ საქართველოს“ მურიები. მაგრამ მათ ყურადღებას არავინ აქცევს. ყველას აგონდება აკაკის ლექსი:

რას წკმუტუნებს ეს საწყალი მურია?
ხომ არ შია და ან ხომ არ სწყურია?
ქუცი-ქუცი, შე საბრალო მურია!
შენი საქმე მხოლოდ ლუკმა პურია....

ქართველი ხალხის ყველაზე უფრო აქტიურ ნაწილს, იმ ნაწილს, რომელიც მედგრად სდგას საბჭოთა პლატფორმაზე, აგონდება აკაკის ეს ლექსი და ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს ჟორდანიას მურიების ყეფას. მან კარგად იცის, რომ დღეს ქართველი მურიების ასეთ „წკმუტუნსაც“ კი დიდი გასავალი აქვს იმპერიალისტურ ხელმწიფოებში და ისინი, ვინც თავის ყოფნა არ ყოფნის საკითხს იმპერიალისტური მტაცებლების პოლიტიკაზე ამყარებენ, ასე უნდა „იწკმუტუნონ“, ასე უნდა ანთხიონ შხამი და ბალღამი მათი „ხაზეინების“ მტრების თავზე.

ასე მოიქცა იმ თავითვე ქართველი მუშები და გლეხები. მაგრამ, სამწუხაროთ, ასე ვერ მოიქცა ქართველი ხალხის ის ნაწილი, რომელსაც ინტელიგენცია ჰქვია და რომელიც ყოველგან, ყოველთვის და ყველაფერში აგვიანებს, რომელიც ყოვეთვის დაგვიანებით ლაპარაკობს თავის გადაჭრილ სიტყვას, რომელიც ყველგან და ყოველთვის გაირჩეოდა თავისი გაუბედაობით და ორჭოფობით.

დიდი ფიქრის და განცდების მეოხებით ქართველი ინტელიგენცია გაეცნო საბჭოთა საქართველოს პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობას. მან თავისი საკუთარის თვალებით დაინახა, რომ საბჭოთა ხელისუფლება კი არა სპობს საქართველოს, მის კულტურას, მის ეკონომიურსა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, რომ ის პირიქით ხელს უწყობს ყველა იმათ, ანვითარებს ქართველი ხალხის კულტურას, [illegible] მის არა მარტო ფიზიკურს, არამედ ეკონომიურსა და პოლიტიკურ არსებობას, აკეთებს და აშენებს მისი პოლიტიკური არსებობის, მისი სუვერენობის ურყევ და უნგრევ საძირკვლებს.

ქართველმა ინტელიგენციამ თავისი საკუთარის თვალებით დაინახა ყოველი ეს, თავისი საკუთარის ხელით შეეხო მას, თავისი ყურით მოისმინა ყოველი ეს...

და ბოლოს, როგორც იყო, მან გაბედა ხმის ამოღება: ჯერ მხოლოდ კანტი-კუნტად, შიშ-კალიფათ, გაუბედავათ და მორიდებულად გამოვიდა ქართველი ინტელიგენცია თავისი საკუთარი აზრით, თავისი საკუთარი სიტყვით, გამოვიდა ჟორდანია-რამიშვილის მორალური და პოლიტიკური ტერორის წინააღმდეგ.

პირველად ერთობ სუსტი იყო ეს პროტესტის ხმა. მაგრამ ის თანდათან გაიზარდა, უფრო გაბედულად გამოვიდა სააშკარაოზე და მთელ საქართველოს მოედო. გაჩაღდა უდიდესი კომპანია ქართველი ემიგრაციის ლიდერების ტერორის წინააღმდეგ. ქართველი ინტელიგენცია გვერდში ამოუდგა ქართველ მშრომელ ხალხს და მასთან ერთად მიიტანა უკანასკნელი იერიში იმ მკვდარ სულებზე, რომლებიც ჟორდანიასა და მისი მთავრობის სახელით კიდევ დალასლასობენ ევროპის დიდ სახელმწიფოებში...

ქართველმა ინტელიგენციამ უარჰყო ჟორდანია და მისი „მთავრობა“. მოშორდა მათ ქართველი ინტელიგენცია და დაინგრა მათი უკანასკნელი ციხე-სიმაგრე. მათ უღალატა ქართველმა ინტელიგენციამ, რომლის რიგებშიაც კიდევ მოინახებოდენ ისეთები, რომლებიც თუმცა გაუბედავათ, ჩუმჩუმათ, ერთობ ფრთხილად, მაგრამ მაინც ცდილობედნ ჟორდანია-რამიშვილის პოლიტიკის გამართლებას.

ჟორდანია-რამიშვილს ფეხქვეშ გამოეცალა უკანასკნელი ნიადაგი... იგრძნეს სიკვდილის მოახლოვება. ამ გარემოებამ ისინი კიდევ უფრო გააკაპასა. მათ, შემოდგომის ბუზებივით, კიდევ უფრო მოუმატეს კბენას... და თუ უწინ თავისი ყოფილი ახანაგებიდან ამა თუ იმ მათ მიერ ათვალისწუნებულ პირებს მასპინძლობდენ ლანძღვა-გინებითა და ამკობდენ ათსგვარ საზიზღარი ეპიტეტებით, დღეს ისინი თავს ესხმიან ქართველი ხალხის მთელ აქტივს: მუშებს, მშრომელ გლეხკაცობას, მთელ ქართველ ინტელიგანციას: მეცნიერებს, მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს. ისინი დღეს არ ინდობენ ქართველ სამღვდელოებასაც კი, რომლის სახელით ისინი ევროპაში ლაპარაკობენ, რომელსაც მათ კონდაკიც კი დააწერიეს (?) კონფერენციაზე წარსადგენად და რომლის სახელით ისინი დღეს რომის პაპსა და კენტენბერიის არხიეპისკოპოსს ეარშიყებიან.

ჩვენ ხელთა გვაქვს „ბრძოლის“ 25 ნომერი, რომელიც სავსეა ყველასი, ქართველი ხალხის ყველა ნაწილების ლანძღვა-გინებით, რომელშიც დაუნდობლად აბიაბრუებენ ყველას, ვინც კი ხმის ამოღება გაბედა, ვინც იქვე შეიტანა ჟორდანია-რამიშვილის მიერ დაკანონებული აზროვნების მეტრის სისწორეში, ვინც მათ ხმის შებრუნება გაუბედა...

ყველა ესენი გამოცხადებულია: ქვეყნის მტრებათ, ხალხის მოღალატეებათ, ჩეკის აგენტებათ, კომუნისტური ხელისუფლების წინაშე დაჩოქილ პირუტყვებად და სხვა და ხვადასხვა...

ეცნობით „ბრძოლის“ კალმოსნების ამ სიბინძურეს და პირდაპირ განცვიფრებაში მოდიხართ. ნუ თუ „ბრძოლის“ აყროლებულ ქაობში ჩაფლულ მკვდარ სულებს მართლა სჯერათ, რომ მთელი საქართველო, მთელი ქართველი ხალხი, მისი ყველა ნაწილი: მუშა, გლეხი, მეცნიერი, ინტელიგენტი, ერი, ბერი,—ყველა გაყიდულია, ყველა თავისი საკუთარი ქვეყნის, საკუთარი თავის მოღალატეა?

ნუ თუ ამ მკვდარ სულებს მართლაც სჯერათ, რომ მთელი ქართველი ერი, მისი ყველა ფენები, ისე დაეცა, რომ თავისი და თავის ქვეყნის ინტერესები დაივიწყა, თავის თავს უღალატა, თავისი საკუთარი თავი მონობაში გაყიდა!

და თუ მათ ეს სჯერათ, თუ ისინი მართლაც ფიქრობენ, მაშინ ისინი ლანძღვა-გინების ტაქტიკას კი არ უნდა მიმართავდენ, მაშინ იმათ უნდა დასწყევლონ ასეთი მონათა სამშობლო საქართველო და გაშორდენ მას.

მაგრამ მათ ჩინებულად იციან, რომ ეს ასე არ არის. თუმცა ყოფილმა, მაგრამ ოდესღაც მაინც ცნობილმა მარქსისტმა ნ. ჟორდანიამ ჩინებულად იცის, რომ ჯერ ისტორიაში არ არსებულა ისეთი ერი, რომლის ყველა ფენები, ყველა ნაწილები ასე გახრწნილიყოს, ასე გათახსირებულიყოს. ისტორიამ არ იცის ხალხი, რომელიც ასე გაყიდულიყოს და თავის საკუთარი თავისთვის, თავისი სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესებისათვის ეღალატოს.

ყოველ ხელისუფლებას შეუძლია მიიმხროს და მოისყიდოს ერთი კაცი, ათი, ასი, ათასი... მაგრამ წარმოუდგენელია მთელი ხალხის, მისი ყველა ფენების მოსყიდვა. შეიძლება მოისყიდონ აი ისეთი „ჩეკის მწერლები“, როგორც ყარიბია, შეიძლება მოიყიდონ ისეთი მუშები, როგორიც არიან: გვიმრაძე, ხურცილავა, ძამანაშვილი, ფარნიევი... ვთქვათ: ხელისუფლებამ მოისყიდა ყველა ესენი. მაგრამ როგორ შეიძლება მთელი ქვეყნის, მთელი ხალხის მოსყიდვა?

მაშ თქვით, ბრძანედ აშკარად და გაბედულად: ქართველმა ხალხმა თავისი საკუთარი თავი, თავისი საკუთარი ინტერესები გაყიდაო.

მერე ამის ფიქრიც კი უდიდესი შეურაცყოფა არ არის მთელი ქართველი ერისა? ნუ თუ ამის შემდეგ მას თავი სადმე გამოეჩინება?

არა, მოქალაქენო! თქვენ ძლიერ მაღლა ფრენთ, თქვენ ძლიერ შორს მიდიხართ!

საქართველოს, ქართველ ერს თავისი დიდი ისტორიული წარსულის სივრცეზე ერთხელაც არ მოვლენია ისეთი კადნიერი მტერი და დუშმანი, რომელსაც მისთვის ასეთი რამ გაებედოს, ასეთი შეურაცყოფა მიეყენებიოს.

გონს მოდით, მოქალაქენო! რას სჩადიხართ?

ქუდი მოიხადეთ განახლებული, საბჭოთა საქართველოს წინაშე!

ვინა სთქვა საქართველოზე
რა დიდი ლომი კვდებაო!?
ამას თქვენ წუწუნებთ, მოქალაქენო!
სტყუით! სრულიად შეგნებულად სტყუით!
შეიგნეთ, იწამეთ, რომ:
არ მომკვდარა საქართველო,
ის აყვავდა ერთხელ კიდე.
და გაისმის ძველებურად
იმისი ხმა კიდით კიდე.

**ყარიბი.**

# წყალ-წაღებულნი

**1. გაზ. „შმორა“. 2. ქუთაისი იალბუზზე. 3. „მოლალატეთა“ ახალი კადრები. 4. მოკითხვის ბარათები აბესალომს, აჯანყება საქართველოს. 5. სპილო და ფინია.**

გადავათვალიერე გაზ. „ბრძოლის“ № 25 და უნებლიედ მომაგონდა ახლო წარსულიდან ერთი პატარა ამბავი. იყო 1918 წელი. ჩვენ ვსცემდით ყოველდღიურ გაზეთ „შრომას“. კანტორის გამგეთ იყო რუსი ამხანაგი რომელსაც გაზეთის გასავრცელებლად სხვათა შორის მოეწვია ერთი უსაქმოდ დარჩენილი ძველი რუსი გენერალი. გენერალი შეუდგა გამგის დავალების ასრულებას, გამოვიდა ქუჩაში და ხმა მაღლა გაიძახოდა: „გაზეთი „შრომა“, გაზეთი „შრომაო“. გენერალმა გაიარა რამდენიმე ქუჩა, მალე, სამწუხაროდ, დაავიწყდა გაზეთის სახელი და მორთო: „გაზეთი „შმორა“, გაზეთი „შმორაო“.

ქუჩაში ხალხი იცინოდა, ზოგი გაზეთს ყიდულობდა, ზოგიც გენერალს მიშტერებოდა. გენერალი შეკრთა და მხოლოდ გაზეთის კანტორაში გაიგო თუ რაში იყო საქმე.

რას იფიქრებდა ძველი გენერალი, რომ გაზეთი „შმორა“ მართლა გამოვიდოდა, მაგრამ არა ქ. თბილისში, არამედ ევროპის ცივილიზაციის ცენტრში—პარიზში და მას ოფიცილურად გაზეთი „ბრძოლა“ დაერქმევოდა?!

რომ გაზეთ „ბრძოლის“ ჩვენი შეფასება გადაჭარბებული არ არის—ამტკიცებს მისი ყოველი ნომერი, სადაც ბოლშევიზმის ზეპირი კრიტიკისა და ჩვენი საზოგადო მოღვაწეთა პირადი ლანძღვა-გინების მეტი არაფერი სწერია. ამ მხრით მართლაც რომ შედევრს წარმოადგენს „ბრძოლის“ № 25, სადაც ნათითაოდ ჩამოთვლილია მრავალი ჩვენი საზოგადო მოღვაწე და მოცემულია მათი ყოველგვარ რიგიანობისა და სიმართლეს მოკლებული უმგვანო დახასიათება.

გაზეთი „შმორა“ შეუდარებელია. მხოლოდ ერთი კი ვერ გაგვიგია. გაზეთი „ბრძოლა“ ხომ „თავისუფალი“ გაზეთია, „თავისუფალ“ ქვეყანაში გამოდის ხოლო მისი თანამშრომელი ფსევდონიმს ამოფარებია და ნიღაბ ქვეშ ესვრის ტალახს ყველა იმათ, ვინც საქართველოში არსებულ სინამდვილეს ალლო აუღო და ყოველგვარი ავანტიურის სასტიკი მოწინააღმდეგეა. განა უფრო რაინდული არ იქნებოდა (ემიგრაციაში ხომ ყველა რაინდია.) ბრძოლა უნიღაბოთ აშკარა ფორმებში წარმოებდეს, რა კი საქმე ცალკე პიროვნებებს ეხება?!

რომ სახრჩობელას თავი დაეღწია ევგენი დვალმა სიგიჟე მოიგონა. როცა ის დასაკითხავად გაიწვიეს და მოსთხოვეს: შენი სახელი და გვარი გვითხარიო, მან უპასუხა 35 იანვარს პარიზში ვიყავ, საფრანგეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკება მქონდაო.

გამომძიებელმა დაუყვირა: „შენ რას ჩმახავ, სიმულიაციას ეწევიო“. დვალმა უპასუხა: ხვალ დილით დაბარებული მყავს 1.500 ურემი და 6 მილიონი მუშა, რომ ქუთაისი იალბუზზე გადავიტანოვო.

ე. დვალის მსგავს ზღაპრებს იმეორებს დღეს ჩვენი ემიგრაცია, მხოლოდ იმ დიდი განსხვავებით, რომ დვალი ატყუებდა თვითმპყრობელობას, ხოლო ემიგრაცია კი ატყუებს საქართველოს, თავის თავსა და მთელს ქვეყანას.

მასაც სურს „ქუთაისი იალბუზზე“ გადაიტანოს და მოგვითხრობს ზღაპრებს! თურმე ჩვენში ფაბრიკა ქარხნები კი არ იხსნება, არამედ იხურება (რა უნდა დაგვეხურა, რაც არ გვქონდა?!) „მთელი მშრომელი ხალხი შიშველ ტიტველია“, ხდება „გლეხთა საბოლოო გაკრეჭა“, „სამუშაო დღე გრძელდება“, „იმართება დემონსტრაციები“ და სხვადასხვა. რა მოჰყვება ყოველივე ამას? ამას უეჭველად მოჰყვება საბჭოთა ხელისუფლების დაცემა და მაშინ მსოფლიოს მთავარი მილიტარისტული ძალაც განადგურდება“

**„Ах этот дивный сон“.**

ემიგრაცია დიდხანს ცდილობდა მიეფუჩეჩებია ის გარდატეხა, რომელიც მოხდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ საქართველოს მშრომელ ხალხსა და მის ინტელიგენციაში.

ის დღემდე ყველაფერს ხსნიდა ჩეკის ძალდატანებითა და ცალკე პირების სილაჩრითა და ანგარებით. ეს მოსყიდულია, ის ლაჩარია, ეს პროვოკატორია, ის მუდამ სინდისით მოვაჭრე იყო და სხვადასხვა. გამოდიოდა, რომ ყველა წმინდანები მოხვდენ ნოეს კიდობანში, ხოლო უწმინდურნი ყველანი აქ დარჩენ. ასე იოლად ხსნიდა ემიგრაცია იმ გარემოებას,რომ ემიგრაციის რეცეპტებს ჩვენში ბაზარი სრულიად დაეკარგა და საქართველოს მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ მასიურად „ზურგი აქციეს ძველ ადათ-წესებს“ და გარკვეულად დადგენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის გზას.

მაგრამ ნათქვამია „მუბი ხალთაში არ დაიმალებაო“ და აი გაზ. „ბრძოლაც“ იძულებულია აღიაროს ახალი და მისთვის სრულიად განმანადგურებელი ამბავი. გაზ. „ბრძოლა“ სწერს: **„ხალხი ერთ მხარეზე, ინტელიგენცია მეორეზე, გამარჯვებულისაკენ, ძველი ამბავია, ყოფილა, ყოფილაო“** („ბრძოლა“ № 25.

ამ დებულებაში ერთი **დიდი სიმართლეა და ორი დიდი სიყალბე.** სრული სიმართლეა ის, რომ ჩვენი ინტელიგენცია არ იზიარებს ემიგრაციის ხაზს, მის ავანტიურას და საბედისწერო ლატარიაში ქვეყნის ჩაგდება არ სურს. **უდიდესი სიყალბეა** თითქოს ხალხი იზიარებდეს ემიგრაციის ტაქტიკას და სურდეს ჯანყი და შფოთი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. **უდიდესი სიყალბეა** აგრეთვე ისიც, თითქოს ინტელიგენცია ისტორიულად გამარჯვებულისაკენ ყოფილიყოს. განა ინტელიგენცია არ ებრძოდა მთელ მშრომელ ხალხთან ერთად თვითმპყრობელობას როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც?!

მენშევიკების ბატონობის დროსაც მათ მხარეზე არ ყოფილა მთელი ჩვენი ინტელიგენცია, არც მისი უმრავლესობა, პირიქით ის მენშევიზმს ოპოზიციაში ედგა. მაშასადამე, დებულება თითქოს ინტელიგენცია ყოველთვის გამარჯვებულისაკენ ყოფილიყოს—სიყალბეა. რად დასჭირდა „ბრძოლას“ ინტელიგენციის შერცხვენა და მისი რევოლიუციონური როლის უარყოფა?! ეს მას დასჭირდა იმიტომ, რომ რაკი ქართველი ინტელიგენცია ნ. ჟორდანია-რამიშვილს ხელიდან გაუსხლტა, ახლა საჭიროა მისი ჩაქოლვა და გაშავება-შერცხვენა, უამისოდ აბა როგორ მოისვენებს ბუშმენის ლოღიკა?..

„ბრძოლა“ არ კმაყოფილდება ჩვენი ინტელიგენციის საერთო და საზოგადო დახასიათებით. ის ეხება როგორც ცალკე პირებს, ისე ინტელიგენციის ცალკე ჯგუფებსაც და სწერს განაჩენს, რომელიც მისივე სიტყვით „საბო-

ლაოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება". როგორია იმ „პიროუთვნელი" მსაჯულის ბრალდება?

**„პირველ ყოვლისა ამოძრავდა მწერლობა, სახელმწიფო ხარჯზე მოაზროვნე და ხაზინის ულუფისათვის შემყურე"-ო.**

თურმე, ნუ იტყვით, ჩვენი მწერლები კ. მაყაშვილები, ბარნოვები, დ. კლდიაშვილები და მათი თანამოკალმენი იმიტომ სწერენ დეკლარაციებს, იმიტომ გამოდიან და ლაპარაკობენ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, რომ არ დაკარგონ სახაზინო ულუფა.

მწერლობა, რომელიც მუდამ ჩვენი ცხოვრების სარკე იყო და ჩვენი ერის უდიდესი მასწავლებელი და წინამძღოლი—დღეს ისე დაკნინებულა, რომ ოქროზე გაუყიდია სინდისი, პატიოსნება, სამშობლო და მისი თავისუფლება, თავის მუცლისათვის შეუწირავს ყველაფერი, რითაც იგი ყოველთვის ამაყობდა! **ეს ისეთი შეურაცყოფაა, რომლის მსგავსი ჩვენი მწერლობისათვის ჯერ არავის მიუყენებია.**

ამას ამბობს ის ხალხი, რომელიც ევროპის იმპერიალისტების ნასუფრალით იკვებება.

ჭეშმარიტად: ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო!

ქვეყანა დაცემული და დაავადებულია. ეს ექიმებს უხარიათ: მეტი პრაქტიკა გვექნებაო. ამიტომ გამოდიან ისინი და ადიდებენ საბჭოთა ხელისუფლებას, განაგრძობს „ბრძოლა". „კოკასა შინა რაცა დგას იგივე წარმოდინდების! ნ. ჟორდანია-რამიშვილის ლოზუნგია: რაც უარესია—მით უკეთესიაო. თავისი სუბიექტიური ზრახვანი მათ სხვებზედაც გადააქვთ და გვარწმუნებენ ექიმებიც ჩვენსავით ფიქრობენო. ეს ბრალდება სხვათაშორის საუკეთესო ილიუსტრაციაა იმის, თუ რამდენად არის ემიგრაცია საქართველოს სინამდვილეს მოწყვეტილი: საქართველოში, რომ კიდევაც დიდი სიღარიბე და ავადმყობა ჩამოვარდეს—ექიმებს რა მერე? ყოვილი დაზღვეული, როცა ის ავად გახდება, ღებულობს როგორც ექიმების რჩევას, ისე წამალს სრულიად უფასოდ, ასე რომ კერძო ექიმებით სარგებლობა საბჭოთა პირობებში არის გვარი ფუფუნება, რომელსაც მშრომელი მასა არ საჭიროებს.

გაზ. „ბრძოლა" ძლიერ უკმაყოფილოა აგრეთვე ჩვენი პროფესორებით, რომლებმაც სხვებთან ერთად დაგმეს ახალი ავანტიურის ცდები ის თავს მხოლოდ იმით ინუგეშებს, რომ „ევროპის მათი კოლეგები არც ისე დაეარდნილი არიან, როგორც მათ წარმოუდგენიათო".

ერთი სიტყვით: „საით გავიქეცი, იქით წავიქეციო: ინტელიგენციის რომელ წრესაც არ მიადგა „ბრძოლა" ყველა მოღალატე აღმოჩნდა!

ეს კიდევ ცოტაა: მოღალატეები თურმე მარტო საქართველოში კი არ ყოფილან, როგორც სჩანს ასეთები ყოფილან სხვაგანაც, როგორც რუსეთში, ისე ევროპაშიც.

მოუსმინოთ თვით „ბრძოლას". ეხება რა ვენის უკანასკნელ ამბებს, ის სწერს: „აშკარაა, ავსტრიის მუშათა კლასი რაღაც ავადმყოფობას განიცდის. ეს არის ავსტრიის ს.-დ. პარტიის ბოლშევიზანობა". იქ ავსტრიაში თურმე „სწარმოებს ბოლშევიკებთან გაუთავებელი არშიყობა, მათი დაცვა და მათთან დაახლოვების საჭიროებაო".

ახლა ვნახოთ, რას აკეთებს რუსეთის სოციალ-დემოკრატია—ის ხალხი, რომელთანაც ნ. ჟორდანიას პარტია ათეული წლების განმავლობაში ხელი ხელჩაკიდებული მიდიოდა, რომლის დირექტივებს ის ამ ხნის განმავლობაში საქართველოშიც სიტყვის შეუბრუნებლად ატარებდა. ნ. ჟორდანია სწერს: **„რუსეთის სოციალ-დემოკრატია ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირში რევოლიუცია გრძელდება, რუსეთი დღეს რევოლიუციას განიცდის და ამიტომ მას ყოველ მხრივად უნდა დავეხმაროთ და ხელი შეუწყოთო".**

თვით კაუცკი, რომელიც საკმაოდ ცნობილია საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიძულვილით, რომელიც კვირაში ასჯერ გადასცემს ანათემას რუსეთის ბოლშევიზმს, სწერს: „კავკასიელი რევოლიუციონერები, რომლებიც ინგლისის დღევანდელ მთავრობისაგან მოელიან ხსნას, მისგან მოტყუილებული დარჩებიან და ამავე დროს დაიმსახურებენ ზიზღს და მტრობას სოც. ინტერნაც. მხრით, აგრეთვე ზიზღსა და მტრობას რუსის ხალხისაო". „ბოლდუინის მთავრობასთან კავშირი მოასწავებს დაკავშირებას პროლეტარიატისა და დემოკრატიის მოსისხლე მტერთან არა მარტო ინგლისში, არამედ მთელს ევროპაშიო", როგორც ხედავთ ეს არის კატეგორიული დაგმობა მთელი იმ ხაზის, რომელსაც საქართველოს ემიგრაცია ადგია. ის სულდგმულობს რეაქციის გაძლიერებით, მისი დახმარებით, რომელიც მისთვის ისევე აუცილებელია, როგორც წყალი თევზისათვის. კაუცკი კიდევ უფრო ულმობელია. ის პირდაპირ და აშკარად ეუბნება თავის მეგობრებს: „ეჭვს გარეშეა, **კავკასიელები ვერ შესძლებენ საკუთარი ძალღონით დამოუკიდებლობის მოპოვებასო".**

ასე განმარტოებული რჩება ემიგრაცია, როგორც ჩვენში, ისე ევროპაშიც.

განსაკუთრებით სრულია მენშევიზმის იზოლიაცია საქართველოში. იმ სამი მთავარი ძალიდან, რომლისგანაც დღევანდელი საქართველო შესდგება (მუშები, გლეხები და ინტელიგენცია) არც ერთი დღეს არ იზიარებს ემიგრაციის რეცეპტებს აჯანყებისა და განზე გადგომის პოლიტიკას. ინტელიგენციის შესახებ ეს უკვე აღიარა თვით გაზ. „ბრძოლამ", დარჩა ორი წრე: მუშები და გლეხები, სად არიან ესენი? მუშები უკვე კომუნისტურ პარტიაში ჩაეწერენ, რაც შეეხება გლეხებს, ის ხომ ჯერ კიდევ 1918 წელს ნ. ჟორდანიამ გამოუსწორებელ რეაქციონერებად გამოაცხადა, რომელიც რესპუბლიკას მუდამ ასამარებდაო და რა თქმა უნდა მას ვერ დაეყრდნობა ნ. ჟორდანია-რამიშვილის „პროლეტარული" პარტია.

ასეთია ობიექტიური მდგომარეობა ფრიად უნუგეშო და უპერსპექტივო. ამ მდგომარეობიდან იმათთვის, ვისაც პასუხიმგებლობაზე და სინდისზე მთლად ხელი არ აუღია—არის ორი გამოსავალი: 1) უკან სამშობლოში დაბრუნება, ჭირსა და ლხინში მასთან ყოფნა ან 2) კ. ჩხეიძის გზა.

საინტერესოა რას ურჩევენ ასეთ პირობებში ნ. ჟორდანია-რამიშვილი თავის თავსა და ქართველ ერს.

ნ. ჟორდანია სიტყვა-სიტყვით ამბობს: **„ჩვენ წინ ვაყენებთ აქტიურ ბრძოლას, ძალას, ძალ-დატანებას, სხვადასხვა გართულებების გამოყენებასო"** და სხვ., ე. ი. ახალი ავანტიურები, ახალი სისხლის ღვრა—აი ნ. ჟორდანია-რამიშვილის სადღეისო პროგრამა, რომელსაც ისინი აშკარად, წარბშეუხრელად იცავენ...

ნ. ჟორდახია ისტორიულად ცნობილია პოლიტიკური წაჯექ-უკუჯექობით. დღეს ერთს იტყვის, ხვალ დიამეტრალურად საწინააღმდეგოს და მას ისეთივე აზარტით დაიცავს, როგორც გუშინდელ დებულებას. როცა ის რაიმე დებულებას წამოაყენებს, ცოტა ხანი უნდა დააცალოთ და შემდეგ თვითონვე უარჰყოფს მას და თქვენ არ დაგჭირდებათ მასზე თავის მტვრევა. აი მაგალითები: პირველ რევოლიუციის პერიოდში ნ. ჟორდანია თავგამოდებით ამტკიცებდა: დროებით რევოლიუციონურ მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობა როგორ იქნებაო, ხოლო 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ ბურჟუაზიას ის და მისი პარტია ისე მიეწება, რომ ვერაფერმა ვერ გააშორა, ვიდრე ოქტომბრის ქარიშხალმა სრულიად არ წალეკა დროებითი მთავრობა...

ასე იყო ეროვნულ საკითხშიც. სეპარაცია ქვეყნის დამღუპველიაო ამტკიცებდა ის ათეული წლების განმავლობაში.

მარა რაღა ასე შორს წავიდეთ!

აბესალომისადმი თავის წერილში ნ. ჟორდანია სწერდა: „მესამე ხაზი: **რუსეთ-ინგლისის ანტაგონიზმი დღეს იმ ფაზამდეა მისული, რომ ის ვერ გადაწყდება მოლაპარაკებით და მშვიდობიანად. ან რუსეთი ან ინგლისი აზიაში**—ასე დგას საკითხიო"—ე. ი. ომი აუცილებელიაო, დღეს კი „ბრძოლის" იმავე ნომერში აცხადებს: **„ევროპაში დღეს ომი შეუძლებელიაო"**. რომელი დავიჯეროთ?.. მაგრამ ვსთქვათ ომი დაიწყო. რას შვრება მაშინ ნ. ჟორდანია? ის ნეიტრალიტეტს იცავს: „თუ ომი დარჩა, ქართველი სოციალ-დემოკრატია მასში მონაწილეობას **არ**

ილებს, ის იცავს ნეიტრალობასო“. ამას სწერს ის ნ. ჟორდანია, რომელიც იმპერიალისტური ომის დროს ნეიტრალიტეტს კი არ იცავდა, არამედ რუსეთის მონარქიას გვერდში ამოუდგა და მოკავშირეთა იმპერიალიზმისა და გამარჯვების პროგრესიულობას ასაბუთებდა (იხილე მისი „ომი და ზავი“).

„ბრძოლის“ იმავე ნომერში არის ორივე ნოეს კურიოზული განმარტება იმ წერილების შესახებ, რომლებიც ჩვენ გაზეთში უკვე იყო გამოქვეყნებული და შესაფერისად დაფასებული. ნ. ჟორდანია სწერს: **„ბოლშევიკები დიდ სიხარულშია. მათ ხელში ჩაიგდეს ჩემი კერძო წერილი ქარცივაძისადმი მიწერილი საზღვარგარეთო“.**

ამნარად, ნ. ჟორდანია-რამიშვილები ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ **წერილები მათი იყო.** მათ მხოლოდ პატარა შესწორება შეაქვთ. თურმე ნუ იტყვით: ეს წერილები სადირექტივო ხასიათის კი არ ყოფილა, არამედ კერძო ხასიათის, მოკითხვის უბრალო ბარათები! ვ. ქარცივაძეს ეუბნებიან: საქართველოში წადი, აჯანყება მოამზადე, ახლავე შეუდექით ჩვენი მომხრეების საიდუმლო აღრიცხვას, ხოლო შეიარაღებული გამოსვლა მოაწყვეთ მაშინ, როცა ჩემი (ნ. ჟორდანიასი) ოფიციალური დასტური მოგივათო. ნ. ჟორდანიას მიერ აბესალომისადმი წერილის პირველსავე სტრიქონებში ნათქვამია: **„გავიგე, რომ მიდიხარ საქართველოში სამუშაოდ. ამასთანავე გაცნობებ ჩემს დავალებებს, როგორც ტეხნიკურს, ისე პოლიტიკურს. რაც მე გამომრჩება ნ. რამიშვილი შეასრულებსო“.**

თურმე ყოველივე ეს კერძო საქმე ყოფილა! „წაგებული საქმის დაცვა“ სწორედ ამას ქვია!.

დასასრულ კიდევ ერთი შენიშვნა. გაზ. „ბრძოლა“ მე კრილოვის ფინიას (მოიგონეთ „სპილო და ფინია“) მეძახის. თქვენ, ალბათ, გახსოვთ კრილოვის ფინია სპილოს რომ უყეფდა, რათა სხვებისთვის ეთქვა: შეხედეთ, რა ვაჟკაცი ვარ, სპილოს ვუყეფავო.

ახლა ვიკითხოთ: ვინ არის ჩვენ შორის სპილო და ვინ არის ფინია? ჩვენ ვეუბნებით ქართველ ერს: ავანტიურას ნუ აყვები, უზარმაზარ საბჭოთა კავშირთან შენ ბრძოლით ვერაფერს გახდებიო „ბრძოლა“ კი ემიგრაციის სახელით გვეუბნება: ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებასთან სისხლის უკანასკნელ წვეთამდეო. ერთი მუჭა უმწეო **ქართველი ემიგრაცია** უდიდესი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ!

ახლა მკითხველმა თვითონ განსაჯოს: სად არის ფინია და სად არის სპილო!..

ლეო შენგელაია

# კ. კაუცკი და აბრამოვიჩი ქართული მენშევიზმის შესახებ

რომ ქართული ემიგრაციის მეთაურებმა თავის „სახელოვან“ მოღვაწეობაში ძლიერ შორს შესტოპეს ბოლშევიზმთან ბრძოლაში, რომ ისინი სავსებით გატიტვლდენ და იმპერიალისტური ბურჟუაზიის დაქირავებულ აგენტებათ, მათი სათამაშო პაიკებათ გადაიქცენ, ეს დღეს ყველასათვის აშკარაა. ამაზე დღეს ლაპარაკობენ არა მარტო კომუნისტები, არა მარტო „მოღალატე“ „ახალგზელები“, არამედ თვით ქართული მენშევიზმის მეგობრებიც კი.

ამ ერთი თვის წინათ ქართულ პრესაში იყო ცნობა იმის შესახებ, რომ კ. კაუცკიმ „ფორვერტსის“ ფურცლებზე აშკარად, გააკრიტიკა, რასაკვირველია, მეგობრულ ფორმებში, „კავკასიელ რევოლიუციონერების“ მუშაობის გეზი. უმთავრეს აქტივს კავკასიის „რევოლიუციონერებისას“ წარმოადგენენ ემიგრაციაში მყოფი ქართველი მენშევიკები. და კაუცკის შენიშვნებიც ყველაზე უფრო მათ უნდა მივაკუთვნოთ.

კ. კაუცკი მათ აბრთხილებს და ურჩევს არ წამოეგონ იმპერიალისტების ანკესზე. დიდი სახელმწიფოები და ამ შემთხვევაში ინგლისი თავის ტრადიციის მიხედვით, სავსე ბით გამოიყენებს მათ, როგორც პატარა ერის წარმომადგენლებს და პირველ შესაფერ შემთხვევაში გაყიდის მათ ინტერესებსო, — ამბობს კაუცკი.

როგორც ხედავთ, აქ კაუცკი სიმართლეს ლაპარაკობს. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, ეს ყველა პოლიტიკის ანბანის მცოდნემ უწყის დღეს, მაგრამ გაბოროტებული ემიგრანტებისთვის ეს ანბანური ჭეშმარიტება არ არსებობს. ისინი, მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება ნუ იქნება და ქართველი ერის ინტერესებს არ დაგიდევენ. ასეთია სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ყოფილი ადამიანების პსიხოლოგია. ამ ყოფილი ადამიანების ყოველი ნაბიჯი ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ შეურაცხყოფილ გრძნობას. მათი მოქმედებიდან სულ ერთიანად განდევნილია საღი, გონებაზე დამყარებული მოქმედების პროგრამა. და თუ კ. კაუცკი, რომელიც მთელი თავისი ძალ - ღონით იცავს ქართველ ემიგრანტებს ყველა თავის საჯარო გამოსვლებში, თუ მათ ამას ურჩევს ის კ. კაუცკი, რომელიც ჯვაროსნულ ომს ქადაგებს ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ, აშკარაა, რომ ქართველი მენშევიკების „საგმირო საქმეები“: მათი იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა, მათი სამხედრო კომბინაციებში მონაწილეობის მიღების ფაქტი ისე საამკარაოზე ამოტივტივებულა, რომ ყველასათვის ცნობილი გამხდარა. და კაუცკი, დაშინებული მენშევიკების ასეთი მოქმედებით, თავის მეგობრებს, ქართველ მენშევიკებს ურჩევს ნუ შეტოპავენ ძალიან შორს.

მაგრამ არა მარტო კ. კაუცკი აალაპარაკა ქართული მენშევიზმის „მოღვაწეობამ“ საზღვარგარეთ. ამ საგანზე ალაპარაკდა რუსი მენშევიკებიც. ჩვენ ხელთ გვაქვს, რუსეთის ემიგრანტ მენშევიკების ორგანო „სოციალისტური ვესტნიკი“ № 14, რომელშიც დასტამბულია რუსი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერის აბრამოვიჩის წერილი სათაურით: „სახიფათო გზა“. აი რას სწერს ამ ჟურნალში მოქ. აბრამოვიჩი“.

„ქართველმა სოციალ - დემოკრატიამ თავისი თავი გადააქცია ბურჟუაზიის აგენტების ხელში სათამაშო ნივთად. ბურჟუზიის ეს აგენტები მენშევიკებს იყენებენ, როგორც პაიკებს, მათ ათამაშებენ ისე, როგორც ამას შესაფერ პირობებში მოითხოვს პოლიტიკური და სამხედრო კონიუნქტურა. ნუ თუ ქართველ ამხანაგებს არ ახსოვთ ის დამცირება, რომელსაც ისინი თავის დროზე განიცდიდენ ინგლისის სარდლობასთან მოლაპარაკების დროს?“

სრულებით მართალია მოქ. აბრამოვიჩი. მენშევიკური ემიგრაცია დიდი ხანია გახდა იმპერიალისტური ბურჟუაზიის სათამაშო საგნათ, მას ათამაშებს ისე, როგორც თუთიყუშს, აყბედებენ ბოლშევიკების დიქტატურულ რეჟიმზე და ტერორისტობაზე და ამით ევროპის ბურჟუაზია, რასაკვირველია, სარგებლობს.

1924 წ. როდესაც ჩვენს ქვეყანას ჟორდანია - რამიშვილმა ავანტიურის ცეცხლი წაუკიდეს, ევროპაში, მართლაც ალაპარაკდა პრესა, ბოლშევიკების რეპრესიებსა და ტერორზე.

თვითონ ავანტიურისტები მალავდენ თავის როლს ამ საქმეში და ევროპის პრესამ აბა რა იცოდა, რომ დამნაშავე იყო არა საბჭოთა ხელისუფლება, არამედ ჟორდანია და მისი „მთავრობა“.

ევროპის პრესამ აბა რა იცოდა, რომ ნოე რამიშვილი და ევგენი გეგეჭკორი მარსელში არალეგალურად საქართველოდან ჩასულ ვ. ნოდიას დირექტივებს აძლევდენ: თქვენ საქართველოში შეიარაღებული გამოსვლა მოაწყვეთ და პასუხიმგებელი საზღვარგარეთელი ს.-დ. ბიურო და მთავრობა იქნებაო.

ს. ს.-დ. პარტიის ადგილობრივმა ცეკამ ეს დირექტივები სავსებით შეასრულა: მან აიყოლია რამდენიმე ათეული თავისი მომხრეები, გამოიყვანა ისინი იარაღით ხელში ხელისუფლების წინააღმდეგ, რასაც შედეგად სისხლის ღვრა მოჰყვა.

ამ ტრაგედიის უმთავრესმა აქტიორებმა, როცა საქმე მათ საკუთარ პერსონებზე მიდგა, დეკლარაციით ამცნეს ქვეყანას, რომ ისინი, ავანტიურათ სთვლიან ამ გამოსვლას და მოუწოდებენ ქართველ ერს საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისაკენ. ხალხი მოატყუილეს სისხლი დაღვარეს და შემდეგ კი ერთხმად განაცხადეს: საბჭოთა კონსტიტუცია. ერთობ საკმაო გარანტიაა იმისათვის, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ - კულტურული და ეკონომიური ინტერესები უზრუნველყოფილი იქნესო...

ქართველი მენშევიკები საზღვარგარეთ გადაიქცენ არა თუ იმპერიალისტური ბურჟუაზიის უბრალო პაიკუბათ, ისინი ბურჟუაზიის დავალებით შპიონთა ორგანიზაციებსაც კი აწყობენ.

აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ ამხ. კ. სულაქველიძე თავის წიგნში „რა მოხდა“.

„პარიზი თავის გამოგზავნილ წერილში მოითხოვდა ცნობას წითელი ჯარების რიცხვის შესახებ, როგორც საქართველოში, ისე ამიერ - კავკასიაში; მოითხოვდა დაწვრილებით ცნობას ჯარების დაბანაკებისა და მათი შეიარაღებისა და ამუნიციის რაოდენობის შესახებო“ (დასახელებული წიგნი, გვ. 28—29).

ეს ცნობები საქართველოდან ეგზავნებოდა პარიზს და იქ კი ს.-დ. პარტიის ლიდერები აგზავნიდნენ საფრანგეთის, ინგლისის და პოლონეთის კონტრ-რაზვედკაშიო“ —სწერს ამხ. სულაქველიძე.

ნ. რამიშვილმა ქართველი რეაქციონური ოფიცრების საშუალებით, რომლებიც ბლომათ მოიპოვება ვარშავაში, დაუახლოვდა პოლონეთის სამხედრო შტაბს და მისი დახმარებით შექმნა ჯაშუშური ორგანიზაცია, რაც ნათლად დამტკიცდა კ. ანჯაფარიძის პროცესის დროს.

აბრამოვიჩი დასახელებულ წერილში სწერს: „ის გზა, რომელიც აირჩია ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ, არის გზა დ ორიენტაცია სამხედრო გართულებისკენ ომზე, რაც მიუღებელია სოციალისტისათვის. ამ ნიადაგზე შემდგარი მოძრაობა მიექანება თავდაღმართი უფსკრულისაკენ, სადაც იწყება ავანტიურიზმი და ინტერვენცია, რომელსაც მიჰყავს ნაციონალური მოძრაობა აშკარა წინააღმდეგობაში ევროპის ჭეშმარიტ დემოკრატიასთან, და მსოფლიო მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობასთან.

აქაც სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებს მოქ. აბრამოვიჩი. ქართველი ემიგრანტი მენშევიკები, საზღვარგარეთ მხოლოდ და მხოლოდ ევროპის რეაქციაზე ამყარებენ თავის იმედებს. ისინი თავის ნაციონალისტურ მოღვაწეობას, თავის რეაქციონურ მუშაობას მხოლოდ მაშინ შეასხამენ ხორცს, როდესაც ევროპას სავსებით დაეპატრონება ფაშისტური და მონარქისტული რეაქცია. მათ ვერ მონახეს საერთო ენა საქართველოს საკითხის ირგვლივ სოციალისტურ და მუშათა კლასის წრეებში. მაკდონალდის მთავრობამ ინგლისში, ებერტის მთავრობამ გერმანიაში, ერიოს მთავრობამ საფრანგეთში იცნეს საბჭოთა კავშირი. იცნო, საბჭოთა კავშირი და მის ფედერატიულ ნაწილათ, საქართველო. მხოლოდ ბოლდუინი და მისი კონსერვატიული მთავრობა, ეს უაღრესად რაექციონური ძალა დასავლეთ ევროპაში, არის ის მთავრობა, რომელიდგან მოელის ხსნას ქართული მენშევიკური ემიგრაცია და რომელზედაც მტკიცედ გააკეთა ორიენტაცია ნ. ჟორდანიას „მთავრობამ“.

ქართველი ემიგრაცია, როგორც პოლიტიკურად, ისე იდეოლოგიურად საზრდოობს ევროპის რეაქციის ნასუფრალით. ამიტომ არის, რომ ქართველი ემიგრაცია ორგანიულად ეკავშირება ევროპის რეაქციას, მისთვის იჩენს აქტივობას, ცდილობს აგრესიულ შეტევაზე გადავიდეს და ინტერვენციას ნიადაგი მოუმზადოს. ყველა ამას ის სჩადის ევროპის რეაქციის დაიმედებით, მისი კარნახით და მისი ფინანსიური დახმარებით.

ალ. ხელაძე.

# ნიღაბი მოიხსნეს

სექტემბრის პირველ ორშაბათს, ტრადიციის მიხედვით, ედინბურგში გაიხსნა ინგლისის ტრედიუნიონების მე-59 კონგრესი.

ამ კონგრესმა სავსებით გამოააშკარავა ტრედიუნიონების საბჭოში გაბატონებულ სოციალ - გამყიდველების ტომას—სიტრინ—ხიკსების ნამდვილი სახე.

ის, რაც კიდევ დამალული იყო მასებისათვის ორი წლის წინედ სკარბოროში, რისი გამხელაც მაშინ არ იყო მიზანშეწონილი და სასარგებლო მათთვის, ეხლა აშკარად გამოიტანეს კონგრესის აუდიტორიის წინაშე;

ეს, რა თქმა უნდა არ ნიშნავს ტომას—ბევინების ევოლიუციას, ეს არ აიხსნება არც მათი ეხლანდელი გაბედულობით ან გულახდილობით მასების წინაშე. ედინბურგში აღებული ასეთი ტაქტი ნაკარნახევია შუბლ მაგართა მიერ. ამ აქტიურ ნაბიჯს მათგან მოითხოვდა ჩემბერლენის დღევანდელი პოლიტიკის გამართლება საბჭოთა კავშირის საკითხში, მათი აქტიური პოზიციის გამართლება საბჭოთა კავშირის და რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ.

მათი შეთანხმებული მოქმედება კონსერვატორებთან არ არის პირველი შემთხვევა. ეს ასე იყო ყოველთვის. ტომას-ბევინების მუშაობა ყოველთვის ეთანხმებოდა კონსერვატორების გეგმებს, ხოლო ამის საჯაროდ აღიარება, ამის პირდაპირ თქმა მასებისათვის ხანდახან. არ იყო ხელსაყრელი არც ერთი მათგანისათვის და ამიტომ ქმნიდენ მოჩვენებითი წინააღმდეგობას, მიმართავდენ პაციფისტურ ლოზუნგებს და იშველიებდენ ინგლისის მუშათა მოძრაობის „კონსტიტუციონალურ ტრადიციებს“.

ედინბურგის კონგრესზე ე. წ. „უმრავლესობის“ მიერ მიღებულ დადგენილებებში, არავითარ ახალ მოვლენას არ აქვს ადგილი, კონგრესის რეზოლიუციაში მხოლოდ ოფიციალური ორგანოს ფორმალური დადასტურებაა მათ მიერ უკვე შესრულებული მუშაობის, მომხდარი ფაქტის.

განა გენსაბჭოს წარმომადგენლების სისტემატიური და შეგნებული საბოტაჟის წყალობით, ფაქტიურად დაშლილი არ იყო ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტი მაშინ, როდესაც მან უარი სთქვა არა თუ აქტიურ მოქმედებაზე, არამედ რეზოლიუციების გამოტანაზეც კი ინგლისის კონსერვატიული მთავრობის უხეშ და მოურიდებელ თავდასხმის დროს კომიტეტის მოქმედების საფუძვლად მიღებულ პრინციპებზე. კონგრესმა მხოლოდ დატა გაუკეთა ტომას-ბევინების მიერ უკვე განხორციელებულ იდეას, მიმართულს რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ და ბურჟუაზიის დასაცავად.

მათ არ შეეძლოთ, რომ ასე არ მოქცეულიყვნენ. იმ ხალხს, რომლებიც მორჩილებით ემსახურებიან ბოლდუინ - ჩემბერლენებს, რომლებმაც მორცხვი გამართლება მისცეს კონსერვატორების პოლიტიკურ შანტაჟს არკოსზე თავდასხმის დროს და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის უაზრო დადგენილებას, არ შეეძლოთ, რომ ასეთი პოზიცია არ დაეჭირათ რუსეთ - ინგლისის კომიტეტის საკითხში, რომ აქაც არ გაეტარებიათ კონსერვატორების პოლიტიკის გენერალური აზრი.

ინგლისის ბურჟუაზია ამიტომ აქებს მათ, ამიტომაა ახლო მეგობრულ დამოკიდებულებაში, ამიტომ უნაწილებს თავის აქციებს.

ედინბურგის კონგრესის მუშაობას სიხარულით ესალმება ინგლისის ბურჟუაზიული პრესა. ხიკსის „გმირულ“ გამოსვლას, ინგლის - რუსეთის კომიტეტის დაშლის დასაცავად, ალტაცებაში მოყავს ბურჟუაზიული წრეები და უდიდეს „გაბედულ და გონიერ აქტად“ სთვლიან მის გამოსვლას ინგლისის პროფმოძრაობის ისტორიაში.

„დეილი-მეილი“ უკომენტარიოდ აცხადებს თავის ფურცლებზე: „კონგრესის დადგენილებები სავსებით ამართლებს და ეთანხმება ინგლისის მთავრობის პოლიტიკას“-ო. სრული სინამდვილეა. სიტრინ - ხიკსები, რომლებიც ფარულად ღალატობენ მუშათა კლასს, დღეს აშკარად სჩადიან ამას, აშკარად იცავენ კონსერვატიული მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკას.

მაგრამ ნაადრევია მათი სიხარული, რადგან სიტრინ-ბევინები არ არის ინგლისის მუშათა კლასის შეგნების და რევ. განწყობილების გამომხატველი, მისი მომავალი ბრძოლების ხელმძღვანელები. ინგლისის მუშათა მასები უკვე დარწმუნებული არიან, რომ მათი ხელმძღვანელობით არ შეიძლება ბრძოლის წარმოება, გამარჯვების მიღწევა. ამაში ისინი დარწმუნდენ არა მარტო ედინბურგის კონგრესის მუშაობის მაგალითზე, არამედ უფრო ადრე. ამაში ისინი დარწმუნდენ წარსული წლის მაისში საყოველთაო და მემალაროეთა გაფიცვის დროს, როდესაც ბევინების და ტომასების ყოველი ცდა და მუშაობა, გაფიცვის წინააღმდეგ, გაფიცვის დასამარცხებლად და სამარცხვინო ლიკვიდაციისაკენ იყო მიმართული.

ამაში გაფიცვის დამარცხების მეორე დღესვე გამოტყდა მაკდონალდი, — ის მაკდონალდი, რომელსაც ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ ედინბურგის კონგრესზე, ეხლა, მისი ერთგული მოხელეების — ბევინ-ტომასების ხელით ოქროს მედალი მიართვა გაწეულ სამსახურისათვის, გაფიცვის დამარცხებისთანავე მან საჯაროდ განაცხადა: „ინგლისის საზოგადოებრივი აზრი არ დაუშვებს, რომ მისმა ერთმა ნაწილმა (მხედველობაში ყავს გაფიცული მუშები) მოინდომოს ძალად მოახვიოს თავზე საზოგადოებას თავისი სურვილები“-ო. ამ განცხადებაში ყველაფერია ნათქვამი; ნათქვამია, რომ ისინი არ იზიარებენ კლასთა ბრძოლას, უარყოფენ რევოლიუციონურ გზებს მუშათა კლასის პოლიტიკური და ეკონომიური გამარჯვების მისაღწევად და კაპიტალთან თანამშრომლობისაკენ და „შეთანხმებისაკენ“ მოუწოდებენ მათ.

მათი შემდეგი ყოველდღიური მუშაობაც ამ მიზანს ემსახურებოდა. განა მათი წყალობით არ მოხდა, რომ ინგლისის პროფესიონალური მოძრაობა დღეს კონსერვატიული მთავრობის სასტიკ და ყოვლად შეუწყნარებელ პოლიტიკურ და ეკონომიურ რეჟიმს არის დამორჩილებული!

ყველა ამის შემდეგ, აბა, რა გასაკვირველია ედინბურგის კონგრესზე მათ მიერ აღებული პოზიცია. რა გასაკვირალია, რომ მათ აიღეს ინიციატივა ინგლის - რუსეთის კომიტეტის ოფიციალურად დაშლის, დასრულება იმ უფერული კომედიის, როგორათაც ის გადააქციეს ტრედიუნიონების საბჭოს წარმომადგენლებმა, რომ მათ ამ საქმეშიც შეასრულეს ჩემბერლენების დავალება.

ამ დადგენილების მიღებით ტრედიუნიონების საბჭოს „უმრავლესობამ“ უკვე საჯაროდ დაადასტურა კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკის „ორი აქტი: ბრძოლა მუშათა კლასის მთლიანობის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების გამართლება.

მაგრამ ეს ხომ მარტო ინგლისში არ ხდება ასე, სოციალ-იმპერიალისტები ყველგან ასე იქცევიან, ასეთ როლში არიან. ასეთივე პოზიციაზე სდგას მათი პოლიტიკური ცენტრი — მეორე ინტერნაციონალი. გადამწყვეტ მომენტში ისინი ყოველთვის მუშათა კლასის მოწინააღმდეგეს ბანაკში არიან.

საკმარისია გავიხსენოთ მე-2 ინტერნაციონალის წარსული მუშაობა, თუ როგორი მყვირალა პაციფისტური ფრაზებით გამოდიოდენ ისინი ომის წინა პერიოდში მოსალოდნელი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხოლო როდესაც ჯერი მიდგა მის რეალურ განხორციელებაზე,— 1914 წ. 4 აგვისტოს მსოფლიოს სასაკლაოს ამუშავების დღეს,—უტიფრად ჩადგენ იმპერიალისტების რიგებში და შეუდგენ ნაციონალური ბურჟუაზიის სისხლიანი გეგმების განხორციელებას.

ბ. ჟუო, რომელიც ეხლა, მსოფლიო ომის დაწყების 13 წლის თავზე. ამსტერდამის ინტერნაციონალის მე-4 კონგრესზე პარიზში აცხადებს, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები ემზადებიან ომისათვის და საჭიროა ბრძოლა მის ასაცილებლადო, ამასვე ამბობდა 1914 წ. ომის დაწყების წინად, მაგრამ ომის დაწყებისთანავე გადავიდა იმპერიალისტების ბანაკში და უსირცხვილოდ დაიწყო ომის დაცვა, საფრანგეთის მუშების რწმუნება, რომ ომი გამოიწვევდა მილიტარიზმის იდეის უარყოფას და ამიტომ არ გამოსულიყვენ მის წინააღმდეგ.

ასე მოიქცა არა მარტო ჟუო, ასევე მოიქცენ მე-2 ინტერნაციონალში გაბატონებული ყველა სოციალ-შოვინისტები და ასევე იქცევიან ისინი დღესაც ახალი ომის საფრთხის წინ.

ედინბურგის კონგრესის მუშაობის სურათი მიუხედავად ყველა ამისა, მაინც განსხვავდება წინა კონგრესისაგან. ეს განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ ამ კონგრესის მუშაობას, შედარებით ნაკლებად ახლავს პაციფისტური მჭერმეტყველობა. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ განვლო პაციფიზმის ხანამ, მას აღარავინ ნდობს, იშლება მერყევი პოლიტიკური პოზიციები, იზრდება მასების შეგნება, ხდება სოციალური ძალების მკაცრი დიფერენციაცია და მზადება მომავალი ომისათვის.

რამდენათაც ეს პროცესი უკვე დაწყებულია, რამდენათაც ძნელია სოც.-მოღალატეებისათვის ნიღაბის ტარება, და სუსტია მათი გავლენა მასებში, იმდენად იზრდება მასების საკუთარი ინიციატივა და გამარჯვების პერსპექტივები. ამ პროცესის დასრულება არც ისე შორსაა, და მაშინ იგრძნობს ინგლისის და ყველა ქვეყნების ბურჟუაზია, რომ ნაადრევი იყო მათი ზეიმი, რომ მათ ისტორიულ ბედს,— კაპიტალისტური სისტემის სოციალიზმით შეცვლას,— ვერ ააცილებდა სოციალ-გამყიდველების ერთგული დახმარება, რომ ვერვინ გასტეხდა საბოლოოდ, რევოლიუციის ძლიერებას, მუშათა კლასის აუცილებელ გამარჯვებას.

კ. ჭეიშვილი.

# ფაშისტების ახალი იერიშები

საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნებში 1924 წ. გამარჯვება ერგო ეგრედ წოდებულ დემოკრატიული პარტიების ბლოკს და შესდგა წვრილ-ბურჟუაზიული მთავრობა რადიკალური პარტიის ბელადის ერიოს მეთაურობით.

1924 წელი მსოფლიო ომის შემდეგ დემოკრატიის „აღორძინების“ ხანათ ითვლებოდა ევროპაში. იმავე წელში ინგლისის მუშათა პარტიასაც ერგო საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება.

ამ ნიადაგზე მეორე ინტერნაციონალში შემავალმა პარტიებმა ასტეხეს ხმაურობა დემოკრატიის საბოლოო გამარჯვების შესახებ მთელ მსოფლიოში.

კომუნისტური ინტერნაციონალისათვის იმთავითვე აშკარა იყო, რომ ეს იყო დროებითი მოვლენა და ფაშისტურად განწყობილი ბურჟუაზია ისევ მალე შესძლებდა დემოკრატიის წამოჩოქებას თავისი ნება-სურვილის წინაშე.

მართლაც არ გაუვლია დიდ დროს, რომ ინგლისის სათავეში კონსერვატორები მოექცენ, გერმანიაში ძალაუფლებას თანდათანობით ფაშისტური ბურჟუაზია დაეპატრონა, შვეციაში მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა ბურჟუაზიის შეტევის გამო, რომელმაც ბრძოლა გაუმართა მენშევიკურ მთავრობას შეიარაღების საკითხში, გადამდგარიყო, ხოლო საფრანგეთის წვრილ-ბურჟუაზიული მთავრობა, რომელსაც ყოველმხრივ ხელს უწყობდენ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ბელადება, თანდათანობით იხევდენ თავიანთი პოზიციებიდან. ერიოს მთავრობას მალე შეუდგა ციებ-ცხელება ფინანსიური საკითხის მოუგვარებლობის გამო.

მიუხედავათ საფრანგეთის მსოფლიო ომში „გამარჯვებისა“, ფრანკის კურსი ყოველ სააღობით ეცემოდა, ამის მიზეზი კი გახლდათ მსხვილი ბურჟუაზიის ოინები, რომლის გავლენით ბანკები განგებ უწყობდენ ხელს ფრანკის კურსის დაცემას. ბურჟუაზია საბოტაჟს უწევდა აგრეთვე დემოკრატიული ბლოკის მთავრობის საგადასახადო პოლიტიკას. მეორეს მხრივ ამომრჩეველი წვრილ-ბურჟუაზიული მასები მთავრობისაგან მოითხოვდა უფრო რადიკალურ ზომების მიღებას.

აქ ერთხელ კიდევ დადასტურდა ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ მარტო მთავრობის ცვლილება სრულებითაც არ არის საკმარისი მშრომელი მასების ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად. ამისათვის საჭიროა მთელი სისტემის შეცვლა, მაგრამ ერიოს მთავრობას ხომ არ შეეძლო ასეთი ცვლილებების მოხდენა. ის ამისათვის სრულებითაც არ იყო მოწოდებული.

პირველი მსხვერპლი ერიოს კაბინეტში გახდა ფინანსთა მინისტრი დე-მარტელი, ამის შემდეგ ხელთათმანივით იცვლებოდა მინისტრები და ცოტა ხნის შემდეგ თვით ერიოს კაბინეტიც დაემხო. შესდგა მსხვილი ბურჟუაზიისათვის უფრო მისაღები პიროვნების—პენლევეს მთავრობა, მაგრამ ფაშისტური ბურჟუაზია ცნობილ მილიერანის მეთაურობით ამით როდი დაკმაყოფილდა. მისი სურვილი იყო მთლად ჩამოეშორებია წვრილი ბურჟუაზიული პარტიები ძალა - უფლებიდან და აკი მალე მიაღწიეს მიზანს.

ფრანკის კატასტროფიულმა დაცემამ ისე დააშინა წვრილ - ბურჟუაზიული პარტიები, რომ ისინი იძულებული გახდნენ მთავრობის სათავეში მოეწვიათ ცნობილი იმპერიალისტი პუანკარე.

აქ დამახასიათებელი ის არის, რომ წვრილ - ბურჟუაზიულ პარტიებს არასოდეს არ ჰქონიათ მტკიცე ნებისყოფა და არც ამ შემთხვევაში აღმოაჩნდათ მათ ასეთი. წვრილი ბურჟუაზია მერყევი ელემენტია, რომელიც ეკედლება ან მსხვილ ბურჟუაზიას, ანდა იშვიათ შემთხვევაში მუშათა კლასს. ამიტომ იყო, რომ დემოკრატიული ბლოკის მთავრობის მეთაურმა ერიომ სრულიად ადვილად მოიკალათა პუანკარეს მიერ შედგენილ მთავრობაში, რომელსაც უწოდეს ეროვნული გაერთიანების მთავრობა.

როგორი კურსი აიღო ამ თავრობამ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?

საშინაო პოლიტიკაში მან დაადგა რეაქციონურ გზას. ფინანსიური პრობლემის გადასაჭერლად მთავრობამ დააწესა დიდი გადასახადები, უმთავრესად რა თქმა უნდა მშრომელ მასებზე, დაუწყო დევნა რევოლიუციონურ ელემენტებს, ციხეები გაავსო პოლიტიკური პატიმრებით და არ დაინდო თვით პარლამენტის კომუნისტი დეპუტატები.

მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა პუანკარეს მთავრობის საგარეო პოლიტიკა, რამდენადაც ის ეხება აგრეთვე საბჭოთა კავშირსაც.

საგარეო პოლიტიკას პუანკარეს მთავრობაში ხელმძღვანელობს გამოქნილი პოლიტიკოსი — ბრიანი.

როგორც ვიცით, ერიოს მთავრობამ იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირი და გამართა მასთან მოლაპარაკება ძველი რუსეთის დავალიანების საკითხის მოსაგვარებლად და სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად.

საფრანგეთის მთავრობაში მომხდარ ცვლილებების გამო, ზოგიერთები იმ აზრის იყვნენ, რომ პუანკარეს მთავრობა ჩაშლიდა ამ მოლაპარაკებას. თუმცა ასეთ რისკზე ის ვერ წავიდა, მაგრამ მოლაპარაკების მსვლელობა უსაზღვროდ შეფერხდა და გაჭიანურდა.

თითქმის გადაწყვეტილი იყო საკითხი ბიზერტაში მდგარ საბჭოთა კავშირის სამხედრო გემების დაბრუნების შესახებ, რომელიც ვრანგელმა გაიტაცა. ეს გემები ჯერაც არ არის დაბრუნებული.

ამგვარად მოლაპარაკება თუმცა სწარმოებს, მაგრამ მის დასრულებას და შეთანხმების მიღწევას ჯერ კიდევ არაფერი ეშველა.

დღეს არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას ის გარემოება, რომ, ინგლისის მთავრობა საფრანგეთზედაც ცდილობს თავისი გავლენის გავრცელებას, რათა ამ უკანასკნელმაც მიბაძოს ინგლისის მაგალითს და გასწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

მართალია, ინგლის - საფრანგეთს შორის მრავალ წინააღმდეგობას აქვს ადგილი, რომლებიც ხელს უშლიან ამ ორი სახელმწიფოს ერთმანეთთან დაახლოვებას. საფრანგეთი ოცნებობს გახდეს ჰეგემონი ევროპის კონტინენტის სახელმწიფოებზე, რისთვისაც მას სჭირდება ძლიერი შეიარაღებული ჯარი და საჰაერო ფლოტი. ის არ თანხმდება ინგლისს აგრეთვე გერმანიის საკითხში.

სამაგიეროდ არც ინგლისს სურს დაუთმოს პირველობა საფრანგეთს და სწორედ ამიტომ არის, რომ ინგლისი ყოველთვის მომხრედ გამოდის ხმელეთზე შეიარაღებული ძალების შემცირების, ხოლო, როდესაც საკითხი საზღვაო შეიარაღების შემცირებას შეეხება, ამისი შუდამ წინააღმდეგია. ეს სხვათა შორის ერთხელ კიდევ დადასტურდა განიარაღების სამთა კონფერენციაზე ჟენევაში.

მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობებისა, ჩემბერლენი მაინც ცდილობს საფრანგეთი ჩაითრიოს ანტისაბჭოთა ბლოკში და ამიტომ ხშირად დადის „ვიზიტებზე“ ბრიანთან.

უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ ემჩნევა, რომ პუანკარეს მთავრობა თანდათანობით ვარდება ჩემბერლენის გავლენის სფეროში.

კომუნიზმთან ბრძოლის მომიზეზებით საფრანგეთიდან ასახლებენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს, მათ გააძევეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომდგენელი, რომელსაც დააბრალეს ცრუ ცნობების მიწოდება საბჭოთა პრესისადმი.

მაგრამ უფრო დამახასიათებელია უკანასკნელ დღეებში ამტყდარი კამპანია საბჭოთა კავშირის ელჩის—რაკოვსკის წინააღმდეგ.

ხსენებულ კამპანიის საბაბი შეიქნა რაკოვსკის მიერაც ხელმოწერილი დეკლარაცია, რომელიც ოპოზიციის ბელადებმა წარუდგინეს კომპარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმს რვა აგვისტოს.

ამ დეკლარაციაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოების თვითეულმა ჯარისკაცმა უნდა ეცადოს ომის დროს გადავიდეს წითელ ჯარში, თუ არ უნდათ დაეხმარონ მათი ქვეყნის მონათმფლობელებსო.

საკმარისი იყო ამ განცხადების წაკითხვა, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიულ პრესას აეტეხა განგაში რაკოვსკის გაწვევის შესახებ. საბჭოთა ელჩის თანამდებობიდან.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ საბაბია იმისათვის, რასაც დიდი ხანია ოცნებობენ საფრანგეთის ფაშისტები და სრულიად მართალია სენატორი დემონზი, საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარე საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების საკითხში, როდესც აცხადებს: „პრობლემა იმაში კი არ მდგომარეობს, დარჩება რაკოვსკი ელჩად თუ არა, არამედ იმაში—მიიღებს თუ არა საფრანგეთი საბჭოთა ელჩს. აქ ლაპარაკია ურთიერთობის გაწყვეტაზე“.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გაზეთი „იუმანიტე“ შემდეგნაირად ახასიათებს ამ კამპანიის ნამდვილ შინაარს: „რაკოვსკის წინააღმდეგ კამპანიის ზურგს უკან იმალება ნავთის კომპანიების ინტერესები. ზოგიერთი ფრანგული გაზეთები გამოდის ინგლისის ნავთის ტრესტის „როიალ დეტჩ შელლის“ ხარჯზე. ამ გაზეთების კამპანია მიზნად ისახავს წაიყვანოს საფრანგეთის მთავრობა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტაზე, რაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის წინამორბედი გახდება“.

და მართლაც შავრაზმული გაზეთი „მატენი“ ცინიკურად გაიძახის: „კიდევ დიდ ხანს დარჩება რაკოვსკი საფრანგეთში?“.

თუმცა საფრანგეთის მემარცხენე გაზეთები ამ კამპანიას საარჩევნო მანევრებათ სთვლიან, შეიძლება ნაწილობრივ მართალიც იყოს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშ-

ნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ფხიზლად არ ადევნოს თვალყური საერთაშორისო მდგომარეობას.

ჩემბერლენის ლამაზი სიტყვები ერთა ლიგის მიმდინარე სესიაზე, რომ „ომის გამოცხადება ერთა ლიგის დასტურის გარეშე იქნებოდა ისეთი წამოწყება, რომელიც მეტის-მეტად ძვირად დაუჯდებოდა ყოველ სახელმწიფოსო“, არის უბრალო ფრაზა, მშრომელი მასების თვალის ასახვევად. ნამდვილად კი მთელი პრაქტიკა იმას გვეუბნება რომ ერთა ლიგა არის სათამაშო ტიკინა დიდი სახელმწიფოების და პირველყოვლისა ინგლისის მთავრობის ხელში. ჩემბერლენი ყოველთვის შესძლებს ერთა ლიგიდან ნებართვის მიღებას ომის გამოცხადებისათვის, თუ რა თქმა უნდა ინგლისს საშუალება ექნება ომის წარმოების. ტყვილად კი არ იქნა უარყოფილი პოლონეთის პროექტი თავდაუსხმელობის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესახებ ერთა ლიგის მიერ, სწორედ ჩემბერლენის მეთაურობით. მაგრამ ანტისაბჭოთა კამპანიის მეთაურებმა უნდა იცოდენ, რომ გაცხოველებულ ანტისაბჭოთა კამპანიას და ომისათვის მზადებას იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ, საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები უპასუხებენ ალმშენებლობის კიდევ უფრო გაძლიერებით, თავდაცვის უნარიანობის გაფართოვებით, მშრომელთა რიგების შემჭიდროებით და თუ იმპერიალისტური მთავრობები გაბედავენ საბჭოთა რესპუბლიკებზე თავდასხმას, მიიღებენ შესაფერ პასუხს.

კერძოდ საფრანგეთის სასიცოცხლო ინტერესები კი მოითხოვს არა ურთიერთობის ჩაშლას, არამედ შეთანხმების მალე მიღწევას საბჭოთა კავშირთან და მან დროზე უნდა ამოსდოს ლაგამი იმ ფაშისტურ ელემენტებს, რომლებიც ურთიერთობის გაწყვეტას მოითხოვენ.

რამოდენიმე წლის წინედ ამხ. ლენინის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ, რაც უფრო მალე შეგვითანხმდებიან კაპიტალისტური მთავრობები, იმდენად ჩვენგან მიიღებენ უფრო მეტ დათმობებს, ხოლო, რომლებიც დააგვიანებენ, ისინი თვითვე დაზარალდებიანო, საფრანგეთზედაც ვრცელდება.

რამდენადაც საბჭოთა კავშირი პოლიტიკურად და ეკონომიურად მტკიცდება და ძლიერდება, იმდენად მას აღარ ესაჭიროება კაპიტალისტურ მთავრობებთან მუდარა შეთანხმებების მისაღწევად.

ეს კარგად უნდა დაიმახსოვრონ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგებმა.

**ხ. ელიაძე.**

# სანავთო ომი

4.

საბჭოთა ნავთის გარშემო ამტყდარ ბრძოლას საფუძვლად უდევს სანავთო სინდიკატსა და ნიუ-იორკის სტანდარტ და ვაკუუმ ოილის შორის დადებული ხელშეკრულება ნავთის მიწოდება რეალიზაციის შესახებ.

ერთი შეხედვით მოხდა ჩვეულებრივი ფაქტი. ორმა დაინტერესებულმა სამეურნეო ორგანიზაციამ ურთიერთ შორის კომერციულ საფუძველზე აგებული ხელშეკრულება დასდო. სხვა პირობებში და სხვაგვარ პოლიტიკური კონსტელაციის დროს აღნიშნულ მოვლენას მსოფლიო პრესა ჩვეულებრივი ქრონიკის სახით აღნიშნავდა და თუ კომენტარიებს გაუკეთებდა, ეს იქნებოდა მხოლოდ ხელშეკრულებათა ანალითი და შენიშვნები დაინტერესებულ მხარეებისათვის სარგებლიანობის მხრივ. დღევანდელ პირობებში კი აღნიშნულმა მოვლენამ უძლიერესი კორიანტელი დააყენა. ძლიერი ფინანსიური ჯგუფები თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნებისა ყალყზე დადგა და ერთმა-მეორეს ბრძოლა გამოუცხადა.

რაშია საქმე?

შეერთებულ შტატებში სანავთო პოლიტიკის გამტარებელთა შორის ყველაზედ უფრო ძლიერი, როგორც ფინანსიური, ისე წმინდა ეკონომიური მხრით, არის როკფელერის კონცერნი და მისი მთელ ქვეყანაზედ კარგათ ცნობილი, სხვადასხვა ზედნართავ სახელით შემკული „სტანდარტ ოილი“. ამ კონცერნის ერთმა ჯგუფთაგანმა „სტანდარტ იოლ ოფ ნიუ-იორკ“ და „ვაკუუმ ოილ“-მა საბჭოთა კავშირის სანავთო სინდიკატთან ხელშეკრულება დასდო. ამ ხელშეკრულების სასტიკ მოწინაღმდეგეთ გამოვიდა როკფელერის კონცერნის მეორე ჯგუფი: „სტანდარტ ოილ ოფ ნიუ ჯერსი“. გარეშე მეთვალყურისათვის ეს მოვლენა გაუგებარია, აუხსნელი და საიდუმლოებით მოცული. მაგრამ თუ ჩვენ კულისებში მომხდარ ამბებს ფარდას ავხდით, დავინახავთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ მეტოქე ორგანიზაციათა შორის ბრძოლასთან, რომელთა ინტერესი ამ შემთხვევაში სხვადასხვაა და მათი გამოსვლებიც ბუნებრივათ ერთი-მეორეს საწინააღმდეგო.

კაპიტალისტური ფორმაციათა ერთ უძლიერეს იარაღთაგანს წარმოადგენს თანამედროვე პრესა, რომელიც დამორჩილებული ყავს კაპიტალს და ალაპარაკებს ისე როგორც ამას ამ უკანასკნელის ინტერესი მოითხოვს. ყველა ძლიერ ფინანსიურ და ეკონომიურ კონცერნს ყავს თავისი შტატი სათანადო პერიოდული გამოცემებით, რომლის საშუალებით ქმნის და ამუშავებს საზოგადოებრივ აზრს.

აძიტომაც არის რომ საბჭოთა ნავთის გარშემო ატეხილი კონფლიქტი ორ სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვაგვარ ახსნა-განმარტებასა და გამოხატულებას პოულობს. ყალყზე სდგას არა მარტო ნიუჯერსის „სტანდარტ ოილი“, არამედ ყველაზედ უფრო დიდ როლს თამაშობს ინგლისური „როიალ-დეტშ“-ი მოქ. დეტერდინგის მეთაურობით. „სტანდარტ ოილ ოფ ნიუჯერსი“ ერთი უდიდესი ორგანიზაციათაგანია როკფელერის მთლიან სანავთო კონცერნში. ის 1924 წლიდან თავისი საქმიანობით და ფინანსებით დაკავშირებულია „როიალ დუტშ“-თან, რომელმაც ამ სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში პირველზე საგრძნობი გავლენა მოიპოვა.

„ნიუ-იორკის სტანდარტ ოილი“ და „ვაკუუმ ოილის“ მიერ სანავთო ხელშეკრულების დადება აღნიშნულ ორგანიზაციებს, ეჭვს გარეშეა, დიდ უპირატესობას აძლევს რაც „როიალ დუტშისათვის“ მიუღებელი და საზარალოა. აქედან ცხადია, თუ რატომ ამხედრდა „ნიუჯერსი“—„ნიუ-იორკის“ და „ვაკუუმის“ წინააღმდეგ. აგრეთვე აშკარაა თუ რა მიზნები და მიზეზები ალაპარაკებს მოქ. დეტერდინგს და მის „როიალ დუტშს“, რასაც ჩვენ ქვევით დაუბრუნდებით.

ნიუ ჯერსის „სატანდარტ ოილის“ გამოსვლას წინ უძღოდა მეტად საინტერესო დრამატიული ეპიზოდი, რომელიც საუკეთესოთ ახასიათებს თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოების ბრძოლის მეთოდებსა და საშუალებებს.

შეერთებული შტატების ცენტრალური სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ **ლევისმა** წერილით მიმართა ნიუ-იორკის ცნობილ პუბლიცისტს **ივ ლე-ს.** წერილის მიზეზი იყო ლე-ს მიერ შედგენილი მემორანდუმი, რომელიც მან საიდუმლოთ დაუგზავნა ყველა ძლიერ კონცერნებს და სავაჭრო პალატებს.

**ლე** მიმდინარე წელში საბჭოთა რუსეთში მოგზაურობდა. დაბრუნებისას შეადგინა. ზემოაღნიშნული მემორანდუმი, რომელშიც ის იცავდა საბჭოთა რუსეთთან ინტენსიური სავაჭრო და ეკონომიური დამოკიდებულების შექმნას და ურჩევდა ცენტრალურ სავაჭრო პალატას მოსკოვში განყოფილების გახსნას, რომლის მოვალეობა უნ-

და ყოფილიყო სავაჭრო ეკონომიური დამოკიდებულებისათვის ხელის შეწყობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იკ-ლე—ერთი უძლიერესია ნიუ-იორკის პუბლიცისტთა შორის. ეს აშკარა გახდება თუ ჩვენ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებას, რომ ის თავის მუშაობით დაკავშირებულია ნიუ-იორკის სტანდარტ ოილის, „შეთლეჰემის ფოლადის კორპორაციასთან, პენსილვანიის რკინის გზასთან და სხვა მრავალ ძლიერ სამეურნეო ერთეულებთან.

როგორც აღვნიშნეთ, ლე-ს წინააღმდეგ თავის წერილში ცენტრ. სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ლევისმა გაილაშქრა. ამას მოყვა მეორე თვმჯდომარის პირზონის გამოსვლა, რომელმაც ლე-ს წინადადება დამღუპველად აღიარა და განაცხადა: „სავაჭრო დამოკიდებულების გაძლიერება და ხელის შეწყობა რუსეთს ნორმალურ პირობებს ვერ შეუქმნისო... სავაჭრო პალატა მხარს ვერ დაუჭერს სავაჭრო დამოკიდებულების წინადადებას იმ პოლიტიკურ ჯგუფისადმი, რომელიც მოგებას ახმარს სხვა ქვეყნებში პროპაგანდას. ამიტომ ცენტრალური სავაჭრო პალატა მხარს უჭერს ვაშინგტონის მთავრობის პოლიტიკას და უარს ყოფს ლე-ს წინადადებას“-ო.

აშკარა არის, რომ ლე-ს მოგზაურობას საბჭოთა კავშირში, ნიუ-იორკის „სტანდარტ ოილის“ და „ვაკუუმ ოილის“ მომავალ ხელშეკრულებასთან კავშირი ქონდა, მაგრამ ნათელია ისიც, რომ პირზონის განცხადება არ არის გულწრფელი; ის გამოწვეულია პირადი ინტერესებით, და წარმოადგენს არა პირზონის, არამედ იმ ფინანსიური ჯგუფის განცხადებას, რომელსაც ის წარმოადგენს. პირზონი არის მთავარი ხელმძღვანელი ერთი იმ სამ მთავარ ფინანსიური კონცერნისა, რომელთა ხელშია შ. შტატების ფინანსიური ძლიერების უდიდესი ნაწილი, სახელდობ, „ირვონგ ტრესტ ოფ ნიუ-იორკ“-ის. ეს კონცერნი კი ოპოზიციაში უდგას მეორე საბანკო ჯგუფს „შეზ ნეშონელ ბენკს“, — რომელიც კარგა ხანია საფინანსო ოპერაციებს აწარმოებს საბჭოთა კავშირთან.

ამ ინტერესთა ერთი - მეორეში გადახლართვა ბოლოს და ბოლოს ქმნის ორ მთავარ ჯგუფს: პირველი, რომელიც გამოდის „მორალსა“ და კაცმოყვარეობის“ სამოსელში და უარყოფს საბჭოთა კვშირთან ეკონომიური თანამშრომლობას, მეორე ჯგუფი კი, დგება პრაქტიკული მოთხოვნილებათა ნიადაგზე და ატარებს შეთანხმებისა და კავშირის ხაზს.

თავისთავად ცხადია, რომ როგორც ერთი, ისე მეორე ჯგუფი მოქმედობს თავისი ინტერესების მიხედვით და არასოდეს კაცთმოყვარეობას მოტივებით ან საბჭოთა კავშირის სიყვარულით. ნიუ-იორკის სტანდარტ ოილის“ და „ვაკუუმ ოილს“ ამჟამად ბევრი თანამგრძნობები ჰყავს იანკეეს ქვეყანაში, მაგრამ ეს თანაგრძნობა ნავთის და ფულის სიყვარულზეა აგებული.

ზემოთ ნათქვამიდან აშკარაა:

1. „სტანდარტ ოილ ოფ ნიუჯერსის“ გამოლაშქრება „სტანდარტ ოილ ოფ ნიუ-იორკისა“ და „ვაკუუმ ოილის“ წინააღმდეგ აიხსნება „როიალ დუტშისა“ და აქედან ინგლისის კონტროლის სიძლიერით ნიუ ჯერსის ჯგუფში. „როიალ დუტშის“ გამოსვლას კი საფუძვლათ უდევს ის გარემოება, რომ ინგლისთან დადებული ხელშეკრულება ხელსაყრელი არ არის.

2. შ. შტატების ცენტრალ სავაჭრო პალატის თავმჯდომარის პირზონის გალაშქრებას ივ ლე-ს წინააღმდეგ საფუძვლად უდევს საბანკო კონცერნების მეტოქეობა ერთი-ერთ შორის—და

3. საბჭოთა კავშირთან ეკონომიური კავშირის გაძლიერებას ბუნებრივათ მხარს უნდა უჭერდეს ამჟამად „სტანდარტ ოილის“ ყველა ის ჯგუფები, რომლებიც თავისუფალია როიალ დუტშის გავლენისაგან და ყველა ის სამეურნეო კონცერნები, რომლებსაც წარმოადგენს ივ-ლე, რაზეც ჩვენ ზემოთ უკვე ვსთქვით.

ამერიკის კაპიტალისტური ჯგუფების ერთი - მეორესთან შეხლა-შემოხლა იმდენად მნიშვნელოვან მოვლენას არ წარმოადგენს სანავ. ომისათვის, როგორც „როიალ დუტშის ამხედრება“, ვინაიდან ეს უკანასკნელი ის ძალაა, რომელიც ამერიკის მეტოქეთ გამოდის და უკიდურეს შემთხვევაში უფრო ადვილია შინაური ძალების შეთანხმება ამერიკისათვის, ვიდრე უცხო მეტოქესთან საერთო ენის გამონახვა.

ესეც არ იყოს საგარეო დამოკიდებულებაში შ.-შტატებს საფინანსო წრეები შინაურ უსიამოვნებათა ხარჯზე უწინ წავლენ დათმობებზე, ამიტომ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია მეტი ყურადღება მივაქციოთ „დუტშ-შელის“ ბრძოლას, მის ფაზებს და ამ ბრძოლის მეთოდებს.

როგორც წინა წერილში უკვე აღვნიშნეთ (იხ. „ახალი გზა“ № 34), „სტანდარტ ოილი“ და „როიალ დუტში“ საბჭოთა ნავთისადმი (ერთის მხრით წინანდელი ინტერესების მიხედვით ყოფ. რუსეთის ნავთისადმი, ხოლო მეორეს მხრით უკანასკნელ წლებში შექმნილ სანავთო მდგომარეობით) უდიდეს ინტერესს იჩენდენ.

საკმარისია აღვადგინოთ მეხსიერებაში გენუას კონფერენციის გარშემო მომხდარი ამბები. ხუთი წლის უკან „დუტში-შელი“ მზად იყო საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულება დაედო. როგორც ვიცით, ამ სურვილს შ.-შტატების ელჩმა რომში მოქ. შილდმა ხელი შეუშალა, რასაც შედეგათ მოყვა „სტანდარტ ოილი“, „ნიუ ჯერსის“ და შელის დაახლოება, რაც ნავთის განაღდების ნიადაგზე წარმოიშვა; ხოლო უმთავრესი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის ევროპის ბაზრიდან განდევნა. ისინი ფიქრობდენ, რომ საბჭოთა კავშირი ნავთის გაუსაღებლობის გამო იძულებული გახდებოდა დუტშ-შელი დანიუ ჯერსისათვის სანავთო კომპენსაციები მიეცა. მაგრამ ეს მიზანი არ გამართლდა. საკავშირო ნავთის ფასების დისპროპორციამ საერთაშორისო ბაზრის ფასებისადმი დამოკიდებულებაში შექმნა ის მდგომარეობა, რომ ბაქოს ნავთი ბუნებრივათ შეიჭრა დასავლეთ ევროპის ბაზრებზე და თვით ინგლისშიც მწვავე მეტოქეობა დაიწყო. „დუტ-შელი“ კარგად ხედავდა ამ მდგომარეობას. ის კიდევ ამ ათი თვის წინათ თვითონ შეეცადა სანავთო სინდიკატთან ხელშეკრულების დადებას. მოქ. დეტერდინგმა ამხ. სერებროვსკის პირველად მისცა წინადადება გასული წლის 23 ნოემბერს. ხოლო ეს წინადადება მანვე მიმდინარე წლის 5 იანვარს გაიმეორა. დეტერდინგი სხვა მრავალ ხელსაყრელ პირობებთან ერთად იძლეოდა 15 მილ. დოლარის სესხის გარანტიას.

აქედან ცხადია, რომ ეს ჯგუფი, რომელიც დღეს ასე ცხარედ ეწინააღმდეგება ამერიკელებს, თვითონ ცდილობდა იგივე აქტი მოეხდინა, რაც „ვაკკუმ ოილმა“ და „ნიუ-იორკის სტანდარტმა“ გააკეთა. აშკარაა აგრეთვე, რომ ხელშეკრულების დამდებმა ჯგუფებმა დეტერდინგს ანგარიშები ჩაუშალა ერთის მხრით იმით, რომ საბჭოთა ნავთის განდევნის საკითხი ამით საბოლოოთ იწურება, ხოლო მეორე მხრით კი თვითონ დეტერდინგი პირში ჩალა გამოვლებული დარჩა.

ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკებათა მთელი რიგი გადადგმულია ნაბიჯები, რომლებიც ერთი შეხედვით იმის მაჩვენებელია, რომ ბრძოლა სასტიკ ფორმებს მიიღებს . მაგრამ თუ ჩვენ შექმნილ მდგომარეობას სათანადო ანალიზს გაუკეთებთ, დავინახავთ, რომ არც ისე წვიმს, როგორც ქუხს.

მაგრამ ამაზე შემდეგ.

ი. ნარხია.

# მიმართვა ქართველ მშრომელ ქალთა მიმართ

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე, ცოტა დარჩება კიდევ ისეთი, რომ არ იწამოს პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება, რომელსაც ხელმძღვანელობს საბჭოთა ხელისუფლება კომუნისტური პარტიის მეთაურობით.

მთელი ის ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდენ საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ შინაური თუ გარეშე კონტრ-რევოლიუციონური ძალები ინტერვენციებით და სხვა საშუალებებით,—დასრულდა მათი პოლიტიკური და ფიზიკური დამარცხებით.

საბჭოთა ხელისუფლების მტრების მეორე იმედიც, რომ ის ვერ გაუძლებდა და ვერ გაართმევდა თავს ქვეყნის მშენებლობის საქმეს, არ გაამართლა ისტორიამ, პირიქით, უდიდესი მიღწევები აქვს ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე.

დღეს, პოლიტიკური ანბანის მცოდნემაც კი იცის, რომ თანამედროვე ეპოქას ახასიათებს კლასებათ დანაწილება, რომელთა შორის დიდი ხანია სწარმოებს ბრძოლა. ეს ბრძოლა საბჭოთა ქვეყნების კავშირში დასრულებულია; პოლიტიკურად და ეკონომიურად გამარჯვებულია მუშათა კლასი—მუშები და გლეხები.

მაგრამ საქმე ასე როდია სხვა ქვეყნებში. საერთაშორისო რეაქცია აქტიურ ბრძოლას აწარმოებს ყველგან მუშათა კლასის წინააღმდეგ, აქტიური ომის დაწყებას აპირებს რევოლიუციონური მოძრაობის კერის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სწორედ ამიტომ ამოძრავდა რუსეთის მონარქიული ემიგრაციის მთელი ბანდა, ამიტომ ამოძრავდენ ჟორდანია-რამიშვილებიც, რომლებიც ბეჯითად ემსახურებიან რეაქციას, და უნდათ თავის წვლილი შეიტანონ ამ საქმეში, უნდათ ეხლაც დაეხმარონ მას.

სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ ისინი ახალ დირექტივებს აგზავნიან აჯანყების მოსაწყობათ, ახალი ექსპერიმენტების მოხდენას აპირებენ ქართველი ერის ხხეულზე, ახალი ავანტიურისათვის ემზადებიან. ასეთ მომენტში არ შეიძლება, რომ არ აღვიმაღლოთ ჩვენი ხმა მათ წინააღმდეგ, რომელთა წყალობით 1924 წ. აგვისტოში უმიზნოდ დაიღვარა ძმათა შორის სისხლი, რომელთა წყალობით არა ერთი და ორი ოჯახი დაობლდა საქართველოში, რომელთაც წყევლა-კრულვით იხსენიებს ყოველი შეგნებული ქართველი, ვისთვისაც ძვირფასია თავისი ქვეყანა, ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება და წინსვლა.

ახალი ავანტიურის და პროვოკაციის ავტორებს ერთხელ კიდევ უნდა ვუთხრათ, რომ ხელი აიღონ ჩვენი სახელით ამ ბოროტ საქმიანობაზე. საქართველოს ხელმძღვანელობა დღეს მეტად სანდო ხელისუფლების ხელშია, რომელიც ასე ბევრს აკეთებს, რომელსაც ასე ბევრი მიღწევები აქვს ქვეყნის და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

საქართველო მიდის აღორძინების გზაზე, საქართველოში შეხდება ახალი ცხოვრება და ვინც მას ხელს შეუშლის, ის იქნება ქართველი ხალხის უმაგალითო მტერი. ჩვენ მოგმართავთ საქართველოს მშრომელ ქალებს, რომლებიც გულწრფელად ემსახურებით სოციალიზმის საქმეს, რომ დადგეთ პროლეტარიატის რიგებში, მიიღოთ აქტიური მონაწილეობა იმ უდიდეს საქმეში, რომელსაც აწარმოებს დღეს საბჭოთა ხელისუფლება. შეერთებულის ძალებით დავეხმაროთ პროლეტარიატს იმ ბრძოლაში, რომელმაც მოგვცა ახალი ცხოვრება და რომელსაც ემუქრებიან ჯერ კიდევ ძლიერი მტრები—ევროპის მტაცებლები.

ვინც ობივატელურ კეთილდღეობის ჭაობში არ ჩაფლულა, ფხიზლად შეხვდება ჩვენს მოწოდებას, ჩვენს მომართვას, რომ ხელი-ხელ ჩაკიდებული, მუშათა კლასთან ერთად, ჩვენც ვიმუშაოდ, ჩვენც ვაკეთოთ უდიდესი საქმე—მშრომელი კლასის განთავისუფლების საქმე.

ვისაც ოდნავ კიდევ შერჩენია მშრომელი ხალხისა და ერისთვის შრომისა და თავდადების შეგნება,—შეგნება სოციალიზმის გამარჯვებისა, შეგნება მშრომელი ხალხის და მშრომელი ქალების ემანსიპაციის რევოლიუციონური გზით განხორციელებისა,—მივა საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომელიც ჭეშმარიტი დამცველია ჩვენი ინტერესების, ჭეშმარიტი ხელმძღვანელია ჩვენი ბრძოლის: სოციალიზმის გამარჯვების.

აქეთკენ მოგიწოდებთ თქვენ საქართველოს მშრომელო ქალებო!

აქეთკენ მოგიგწოდებთ თქვენ, ჩვენი ერის და მშრომელი ხალხის ერთგულება!

აქეთკენ მოგიწოდებთ თქვენ, ჩვენი ერის და მშრომყოფილ მენშევიკ ქალთა სექციის წევრები: **1) ოლიმპიადა ბაქრაძე, 2) ალექსანდრა ბაქრაძე, 3) ხ. მელიქიშვილი, 4) სოფიო ხირსელი, 5) ნ. ბაბიკაშვილი 6) ელენე მაისურაძე.**

# ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## ახალგაზრდობა ყოველთვის რევოლიუციასთან იქნება

1921 წელს თებერვალში საქართველოში იყო ბრძოლა მენშევიზმსა და ბოლშევიზმს შორის, იბრძოდა ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალა, პოლიტიკური სისტემა. ეს ბრძოლა დამთავრდა ბოლშევიზმის გამარჯვებით და კაპტალისტური ევროპის ორიენტაციის შემყურე მენშევიზმი დარჩა განმარტოებული, განიცადა საშინელი დამარცხება“. ევროპისაგან მას ხელში შერჩა მხოლოდ მორალური თანაგრძნობა და „იმედი“ რესტავრაციის.

1924 წლის აგვისტოს აჯანყებაც მხოლოდ ასეთივე მორალური რეზოლიუციების საგანი გახდა და თანდათან მცირდებოდა „დემოკრატიული მთავრობის“ ტრიუმფით მოსვლის მოლოდინი.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიურ დაუძლურების ნაცვლად, როგორც ამას წინასწარმეტყველობდენ მისი მტრები, ჩვენ ვხედავთ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლების რყევას.

მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა, საბჭოთა ქვეყნები და, მათ შორის, საბჭოთა საქართველოც დღითიდღე იზრდება და ქმნის ახალ კულტურულ და ეკონომიურ მიღწევებს, ამ გარემოებამ საქართველოს ის მშრომელთა მასები, რომლებიც მენშევიზმის დროში ქვეშ იბრძოდენ ერთ დროს, გამოიყენა, მოაცილა ამ ისტორიულ გაუგებრობას და გვერდში ამოუდგენ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას.

ბოლშევიზმი იმდენათ განმტკიცდა და ეკონომიური აღორძინების იმდენი უნარი გამოიჩინა, რომ არა სოციალისტურ პარტიებმაც კი მიიღეს იგი—საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ განვითარების ხელის შემწყობ მოვლენად და წაიშალა შეურიგებლობის განწყობილება.

1921 წლის თებერვალი ქართველი ერის ცხოვრებაში შეიქმნა ახალი ეპოქის დასაწყისად; საქართველო ეზიარა ოქტომბრის რევოლიუციით და ამით შეწყდა საქართველოქტომბრის რევოლიუციით და ამით შეწყდა საქართველოს სახელმწიფოებრივი მერყეობა რევოლიუციასა და იმპერიალიზმს შორის.

დღეს არა თუ ჟორდანია-რამიშვილები, რომელთაც არავითარი რეალური ძალა არ გააჩნიათ, არამედ ჩემბერლენებიც ვერ ბედავენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ლაშქრობის დაწყებას, რადგან იციან, რომ ეს მეტად სახიფათო ნაბიჯია, საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები არავის დაანებებენ ოქტომბრის დამარცხებას, თავისუფლების წართმევას. ჟორდანია-რამიშვილების პროვოკაციას, ამხანად, პროლეტარულ დიქტატურის სოციალური მტრებიც ვერ გაყვებიან, რადგან ის უიმედოა, რადგან რამიშვილების ილიუზიების განხორციელებას არავითარი საფუძვე-

ლი არა აქვს, რადგან იციან, რომ საბჭოთა ხელისუფლების ძლიერებას ვერ გასტეხს ვერც შინაური და ვერც გარეშე მტრები.

ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი სამწუხაროდ კიდევ ემბება და იღუპება რამიშვილების პროვოკაციის ქსელში და დროა დაუკვირდეს, თუ სად არის ის, ვის ემსახურება, თუ რას უკარნახებს მას ერის და მშრომელი ხალხის ინტერესები. ამაში გარკვევის შემდეგ, მას არ შეეძლება, რომ არ მივიდეს საბჭოთა ხელისუფლებასთან, არ მივიდეს რევოლიუციის ფრონტზე, რევოლიუციის დასაცავად, რომლის გამარჯვებით უზრუნველ ყოფილია ჩვენი სუვერენობის და მომავალი განვითარების გზები.

**გ. კვერნაძე.**

—:—

## შავიდან თეთრს ვარჩევთ

ხიდისთავის რაიონი, თავისი რევოლიუციონური წარსულით მოწინავე რაიონათ ითვლება გურიაში. მენშევიზმს აქაც დიდი გავლენა ჰქონდა წინედ და ამ გავლენას განიცდიდა ახალგაზრდობაც. მაგრამ 1924 წ. აგვისტოს ავანტიურის შემდეგ, ახალგაზრდობის უდიდესმა ნაწილმა შესაფერი შეფასებანი მისცა ამ ავანტიურისტულ პოლიტიკას და გულწრფელად მივიდა ხელისუფლებასთან, რომელიც ასე მონდომებით მუშაობს ქვეყნის ეკონომიური აღორძინების საქმეში და ამდენი მიღწევებიც აქვს უკვე მიღებული.

განა ვინმესთვის კიდევ გაუგებარია ის, რომ საქართველოს მტკიცე ინდუსტრიალიზაციის გზაზე დაყენება შედეგია საბჭ. ხელისუფლების ნაყოფიერი მუშაობისა და ხელმძღვანელობის!?

განა სწორად არ არის გადაწყვეტილი ეროვნული საკითხი, როდესაც აღარ არსებობს ერთა შორის შური და მტრობა, როდესაც ერთ ძმურ კავშირში გაერთიანებული საბჭოთა ქვეყნების ერები, ასე შეთანხმებულ მუშაობას ეწევიან და ეხმარებიან ერთმანეთს!?

მშრომელი ახალგაზრდობა, როდესაც გაერკვია ამ საკითხებში, არ შეეძლო, რომ არ მისულიყო იმ ხელისუფლებასთან, რომლის ხელმძღვანელობით და თავდადებუხელმძღვანელობით და თავდადებული შრომით კეთდება ჩვენ მივედით საბჭოთა ხელისუფლებასთან, მივედით მასთან სამუშაოდ და თუ ვინმე იფიქრებს მის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას, ვიბრძოლებთ მის დასაცავადაც.

ხიდისთავის რაიონში უკვე ჩამოყალიბდა ყოფ. ახალ. მარქ. სარაიონო ბიურო, სადაც გულწრფელი განცხადებით მოდიან ყოფ. ახალ. მარქ. და წყევლა კრულვას უთვლიან ჟორდანია-რამიშვილს და მათ შავ ზრახვებს. ისინი მზად არიან, რომ ღირსეული პასუხი გასცენ, კომპარტიასთან ერთად, ქვეყნისა და მშვიდობიანი შრომის მტრებს.

ახალგაზრდობა შავიდან თეთრს უკვე არჩევს და მათი მოტყუილება ჟორდანია-რამიშვილებს აღარ ძალუძს.

**დ. ჭანიშვილი**

# წერილები პროვინციიდან

### დ. ჭრებალო, (საკუთარი კორესპონდეტისაგან)

17 აგვისტოს დ. ჭრებალოში მოწვეულ იქნა მრავალრიცხოვანი კრება, სადაც ამხ. კუპრაშვილმა გააკეთა მოხსენება მომენტის შესახებ. მომხსენებელმა დაახასიათა საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, მისი ეკონომიური ზრდა და პოლიტიკური განმტკიცება, რაც ასე ძალიან აწუხებს საერთაშორისო ბურჟუაზიას, რომლის აგრესიულ პოლიტიკას ხელმძღვანელობს ინგლისის კონსერვატორული მთავრობა.

საბჭოთა კავშირის საგარეო გართულების პერსპექტივამ, — ამბობს მომხსენებელი, — აამოძრავა ევროპაში გახიზნული სხვადასხვა ჯურის ემიგრანტული წრეები, რომლებიც ფიქრობენ ასეთი მომენტით სარგებლობას და რესტავრაციის განხორციელებას. მათ შორის, რა თქმა უნდა უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს საქართველოდან გახიზნულ „მთავრობას“, რომლებიც მოქმედებენ ინგლისის კარნახით. მაგრამ თქვენ იცით, სთქვა ამხ. კუპრაშვილმა, თუ რა მოჰყვა მათ ასეთ გეგმებს 1924 წ. აგვისტოს გამოსვლების დროს. თქვენ იცით, რამდენი, მათგან გაბრიყვებული უდანაშაულო ხალხი, დაიღუპა მაშინ. და, აი, ისინი წათამამებული ინგლისელი შუბლმაგართა პროვოკაციით, ამოძრავდენ და ჰქმნიან ახალ გეგმებს, რომელთაც უნდათ ქართული ერი კვლავ ფიზიკური განადგურების წინაშე დააყენოთ.

მომხსენებლის შემდეგ ილაპარაკეს ადგილობრივმა ამხანაგებმა.

ამხ. სპ. ჭელიძემ აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დაცვას ჩვენ გვიკარნახებს საქართველოს სოციალური და ეროვნული ინტერესები. საბჭოთა ქვეყნების კავშირთან ჩვენ გვაერთებს არა ერთი ათეული წლების საერთო ცხოვრება, შრომა და ბრძოლა, მათთან ჩვენ დაკავშირა რევოლიუციონურმა ბრძოლამ და ისტორიულმა აუცილებლობამ. მხოლოდ ამ კავშირში შეგვიძლია ჩვენ სოციალისტური იდეის განხორციელება და საქართველოს მშრომელი ხალხის ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას საბჭოთა კავშირის დაცვის საქმეში.

სიტყვების შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია.

**დამსწრე**

### ზემო სვანეთი

აგვისტოს პირველ რიცხვებში სვანეთის სხვადასხვა თემებში სხვადასხვა დროს იქნა მოწვეული ყრილობები, სადაც მოხსენებით გამოდიოდა ამხ. ეგნატე გაბლიანი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი აგვიწერდა ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისა და ქართველ ემიგრაციის მოქმედებას საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგოთ. გმობდა იმ აგვისტოს ავანტიურულ გამოსვლებს, რომლის ერთ-ერთ აქტიურ წევრათ თვითონ ითვლებოდა და მოუწოდებდა ხალხს, რომ ამიერიდან არავითარ შემთხვევაში, თუნდაც კი სხვა ქვეყნებში ექნეს ადგილი რაიმე ანტი-საბჭოთა მოვლენებს, რომ სვანეთი არ გაეხვიოს ახალ ავანტიურაში, არამედ გვერდში ამოუდგეს იმ ხელისუფლებას, რომელიც ისტორიაში უმაგალითო სისწრაფით აწარმოებს ქვეყნის წინსვლას კულტურულად და ეკონომ. აღორძინებას საერთოდ ყველაგან და კერძოთ კი სვანეთში. ამ მიტინგზე მოხსენებით გამოდიოდა აგრეთვე კომკავშირის მდივანი ამხ. გურჩიანი. ხალხი დიდი ყურადღებით უსმენდა მას, მადლობას უხდიდა მას ასეთი რჩევა-დარიგებისა და გაფრთხილებისათვის. ყველას სახეზე დიდი მღელვარება ემჩნეოდა ქართველი ემიგრაციის ახალი ავანტიურის ძრახვების დასურათების შემდეგ და ერთხმად გამოჰქონდათ ყველა თემებში შემდეგი დადგენილება და რეზოლიუციები:

მოგვყავს ცხომარის თემის ყრილობის დადგენილება:

„ჩვენ, ცხომარის თემის გლეხობამ, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. გბალიანისა და გურჩიანისა, ვაცხადებთ დიდ კმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რომელიც ასე გულწრფელად შეუდგა ჩვენი ქვეყნის დაწინაურებას, მოპოვებულ თავისუფლების ცხოვრებაში განმტკიცებას და ამიტომ ვალად უდებენთ ჩვენ თავს, რათა ყოველ ღონისძიებით დავიცოთ დღევანდელი მთავრობის ინტერესები, გვერდში ამოუდგეთ მას საჭიროების დროს და იარაღით ხელში დავიცვათ ჩვენი სამშობლო, საბჭოთა საქართველო, როგორც შინაური, ისე გარეშე მტრებისაგან“.

**სვანი.**

**სარედაქციო კოლეგია.**

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. № 6/8.